



გაერანსული  
ზიზლირთისა

# მელა ფანიაშვილი

ქართული  
მუსიკის  
უარსივლი



საფორტეპიანო

დყუტი



მედეა ფანიაშვილი - "Allegro con fouco"

მცირე დარბაზი. კულისებში ქარი ორპირი...  
 თვალები, სველი მინდვრებივით დანამულელები...  
 ავანსცენაზე თავადური შენი პროფილი.  
 მოვარტის "ღამის სერენადის" სამაჯურები.  
 მედეა, როგორც ფერწერული ბგერა შუბერტის,  
 (მველი ეპოქის მუსიკოსთა მუსიციერება...)  
 და გულის გულში არტისტული ფეთქვა აორტის  
 და საქართველოს სატკივარი, როგორც დილემა!  
 და კონტრასტები... ფლეიტები, კლავესინები...  
 რახმანინოვი, ტელემანი, ვივალდი, რამო...  
 და დეზიუსის გამკვირვალე ბალერინები  
 და კლასიკური ჯაზის ცეცხლი, როგორც ირაო!..  
 ო, ეს მუსიკა! ეს ნატიფი ფოლიანტები...  
 და ბეთჰოვენის კოსმიური, ზესთა სიმაღლე,  
 შტრაუსის, ლისტის და სენ-სანსის კორიანტელი  
 და ბახის მიერ აგებული ციხესიმაგრე!  
 და შტრედებივით დაფენილი უცხო ვარდები,  
 წელი ვალსები, რომანსები, როგორც ზმანება,  
 ვარსკლავებიდან დაშვებული რიჰარდ ვაგნერი,  
 დედასინაზე მოვარდნილი ზღვად და ზგავებად!  
 და საშობაო კასტატები, როგორც სამშველი,  
 როგორც სამხური სამყაროში, - ხსნად და იმედად...  
 მძიმე დრო-ეაშში გამოჭრილი მცირე სარკმელი  
 და პიანისტის მაჟორული განწყობილება.  
 და მერე, მაღლა, ლაყვარდებში, ისევ ირაო!  
 შოპენის ღამის სტიქიები, როგორც მზეები...  
 მთვარის სხივებში გახვეული ფორტეპიანო,  
 პრელუდიები, პიესები, პოლონეზები...  
 ქალი - Allegro!.. კულისებში ქარი ორპირი...  
 რიოალები, მწარე ცრემლით დანამულელები...  
 ავანსცენაზე აღარა ჩანს შენი პროფილი  
 და კამერული ორკესტრების სამაჯურები.

თინათინ მღვდლოაშვილი



# მელაა ფანიაშვილი

ქართული მუსიკის კარიატიდა

ჩ-ს შერა ვანაშვილი!

ჩინო ჩ-ს შერა!

შერაშვილი იქნა მოღვაწეობა ქართველი ხალხ-  
ის უბრალოდ სარკვევით ხერხი სხვადასხვა დროს -  
ზოგადად იქნა წინადადებათა და შეკრებების  
მოხელის იქნა მოღვაწეობა ყველა სფერო სარკვევით

საქართველოდ ხელმძღვანელი მუსიკალური  
მუშა და მუსიკალური



ამონარიდები დევილ-არუთინოვ-ჯინჭარაძის წიგნიდან  
„მედეა ფანიაშვილი“ და სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებიდან.

შემდგენელი: **ჯილდა მამალაძე**  
რედაქტორი: **რუსუდან ქუთათელაძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ომარ მინდორაშვილი**



„საქართველოს დამსახურებული არტისტის, მედეა ზურაბის ასული ფანიაშვილის გამორჩეული მუსიკალური ნიჭიერება, ბრწყინვალე ორგანიზატორული უნარი, თანამედროვე ქართულ მუსიკალურ სამემსრულებლო ხელოვნებასა და მუსიკალურ საგანმანათლებლო სფეროში შეტანილი ფასდაუდებელი წვლილი, ისევე, როგორც მისი მომხიბვლელიობა, გამჭრიახი გონება, ინტელიგენტობა, იუმორი და სხვა ადამიანური ღირსებები გამო-არჩევედა მის პიროვნებას. მედეა იყო... ქართული მუსიკალური კულტურის ძვირფასი გულქანდის მარგალიტი“.

დევილ არუთინოვ-ჯინჭარაძე



„მედეა ფანიაშვილი იყო უნიკალური მოვლენა ქართულ ხელოვნებაში. დიდი მასშტაბის მუსიკოსი, პროფესიონალი, დიდი ადამიანი, საზოგადო მოღვაწე, ყველაზე ნიჭიერი პიროვნება, ვისაც კი ოდესმე შევხვედრე“.

### ნუგზარ კიკნაძე

„საბჭოთა პერიოდში სახელმწიფო ადამიანებს თანმიმდევრულად და მიზანდასახულად, ასე ვთქვათ, მორჩილ ჭანჭიკებად ზრდიდა და მხოლოდ ერთეულებს შეეძლოთ ამ გარკვეულ კალაპოტში, აღზრდის ამ ფარგლებში, შეენარჩუნებინათ საკუთარი პიროვნება და გამოევილინათ საკუთარი პიროვნული თვისებები: გახსნილი გონიერება, იუმორის გრძნობა, დამოუკიდებელი აზროვნება. სწორედ ეს ახასიათებდა მედიკოს და ამით იყო გამორჩეული. ეს ვლინდებოდა ყველაფერში: მის მოღვაწეობაში, მის ნიჭიერებაში“.

### ვეგენი მაჭავარიანი

„მედიკოს ყველაფერში ეტყობოდა არისტოკრატიული წარმომავლობა – კეთილშობილი, ფაქიზი, დახვეწილი თხემით ტერფამდე, სადა და ამაყი. ყველაფერს ამას ახლდა მზესავით ანთებული ტემპერამენტი, რომელიც ყოველთვის კეთილშობილური და დახვეწილი ფორმით ვლინდებოდა“.

### ნათელა ქუთელია

„მედეა, მართალია, ზოგჯერ ბავშვურ გულუბრყვილობას ამჟღავნებდა, მაგრამ, როცა საქმეში ნახავდით, საგნისა და მოვლენის მისეულ აღქმასა და ანალიზს გაეცნობოდით, მისი აზროვნებისა და მოქმედების მასშტაბები გაგაოცებდათ.“

მედეა ფანიაშვილი დაიბადა 1945 წელს ქალაქ თბილისში. ოჯახის ყველა წევრი მღეროდა და უკრავდა ფორტეპიანოსა და გიტარაზე.

მუსიკალურ გარემოცვაში აღზრდამ, ალბათ, გარკვეული ბიძგი მისცა მისი მუსიკალური მონაცემების ნაადრევად განვითარებას. იგი უკვე ოთხი წლის ასაკში თამამად აწყობდა ფორტეპიანოზე სიმღერებს.

მედიკო ჯერ კიდევ სასწავლებელში სწავლის პერიოდში გაიცნო ქართულმა მუსიკალურმა საზოგადოებამ სოლო კონცერტებით. ის წარმატებით ასრულებდა ბახის, ბეთჰოვენის, შოპენის, ლისტის, შუმანისა და მუსორგსკის ნაწარმოებებს.

„როცა მე დირიჟორმა გივი აზმაიფარაშვილმა მთხოვა ნაე-  
ყოლოდი მესამე მუსიკალურ სასწავლებელში, სადაც II კურსის  
სტუდენტს, მედეა ფანიაშვილს, რახმანინოვის მეორე კონცერტი  
უნდა შეესრულებინა, გუნებაში გავიფიქრე, ბავშვისთვის ეს რამ  
მიაცემინათ, ნადრევია-მეთქი. მაგრამ უკვე პირველი აკორდე-  
ბიდან დამავინწყდა, რომ სასწავლებლის მოსწავლე უკრავდა.  
ეს იყო პროფესიონალის დაკერა და ამავე დროს ნიჭით აღ-  
სავსე პროფესიონალისა. გამიკვირდა და ამავე დროს სიამაყის  
გრძნობამ შემიპყრო. ის ხომ ჩემი მამულიშვილი იყო. გამომშ-  
ვიდობებისას ვუთხარი მედიკოს, რომ მისი გზა პირდაპირ მოს-  
კოვისკენ უნდა წასულიყო“.

### თამაზ გომელაური

1968 წელს მედეამ წარმატებით დაამთავრა ვანო სარაჯი-  
შვილის სახელობის კონსერვატორიის საფორტეპიანო ფაკულ-  
ტეტი პროფესორ ნოდარ გაბუნიას კლასით. ორი წლის შემდეგ  
კი სტაჟირება გაიარა მოსკოვის კონსერვატორიაში, მსოფლიო-  
ში ცნობილ პიანისტთან, პროფესორ რუდოლფ კერერთან.

შრომითი საქმიანობა მედეამ დაიწყო 1968 წლიდან, თბილ-  
ის კონსერვატორიაში, საგუნდო-სადირიჟორო კათედრაზე,  
კონცერტმაისტერად, სადირიჟორო ხელოვნების კორიფესა  
და პედაგოგთან ოდისეი დიმიტრიადისთან, რომელსაც მა-  
ნამდე ჰქონდა პრობლემები კონცერტმაისტერებთან, რადგან  
ისინი არ აკმაყოფილებდნენ მის გემოვნებასა და პროფესი-  
ულ მოთხოვნებს. მედიკოს ნიჭიერებამ ოდისეი დიმიტრიადი  
გააოცა პირველივე შეხვედრაზე. მანეტრომ მას შესთავაზა  
პირდაპირ ფურცლიდან დაეკრა სრულიად უცნობი ტექსტი:  
„კარმენი“, „ტრუბადური“, „ტრავიატა“, „იოლანტა“. მოგვი-  
ანებით დიმიტრიადი იხსენებდა: „მე უბრალოდ განცვიფრე-  
ბული ვიყავი მისი ტალანტით. პულტთან მდგარ სტუდენტებს  
ხშირად ეშლებოდათ, მე მათ ვაჩერებდი და ვუსწორებდი. მე-  
დიკო კი უკრავდა სრულიად თამამად და თავისუფლად, კარგად  
აუღერებდა როიალს. მე მოსკოვის კონსერვატორიაშიც მყავ-  
დნენ პროფესიონალი კონცერტმაისტერები, მაგრამ მედეამ  
ყველა ისინი დაჩრდილა. ის ყოველ ტაქტში პოულობდა მუსიკის  
სასწაულებს. მართლაც შეუდარებელი იყო“.

ამ დიდმა ხელოვანმა დიდად შეუწყო ხელი მედიკოს, როგორც  
მუსიკოსის, ჩამოყალიბებას. მასთან გატარებულ წლებს მედიკო  
თავისი ცხოვრების ოქროს ხანად მოიხსენიებდა. იგი პარალელუ-  
რად მუშაობდა საფორტეპიანო ანსამბლის კლასში პედაგოგად.



„1968 წლიდან მედია იყო საქართველოს ფილარმონიის სო-  
ლისტი. ის მართავდა, როგორც სოლო კონცერტებს, ასევე საანს-  
ამბლოსაც. ხშირად უკრავდა სიმფონიურ ორკესტრთან ერთად.

მაგრამ, მედიკო მხოლოდ ამით არ კმაყოფილდებოდა. ის  
კონსერვატორიაში ყველა კათედრასთან იყო დაკავშირებული.  
სრულიად უანგაროდ იჯდა, ზოგან როგორც კონცერტმაის-  
ტერი, ზოგან როგორც უშუალოდ პიანისტი, ეხმარებოდა ახალ-  
გაზრდა, ახლად გამოჩეკილ კომპოზიტორებსაც“.

### **ანტონ ნულუკიძე**

„მას ჰქონდა უნარი ნანარმოების ესტრადაზე მყისიერი  
გამოტანისა. ფურცლიდან კითხვის ნიჭი ხომ განსაცვიფრებელი  
დაანათლა უფალმა. თავდაყირა რომ გადაგეშალათ მისთვის  
ურთულესი საფორტეპიანო ნანარმოები, მეტიც, საორკესტრო  
და საოპერო პარტიტურა, სათანადო ტემპში დაუკრავდა. მის  
შესრულებას ჰქონდა ღვთიური ნაპერწკალი, რაიც მედეას მუ-  
სიცირებას ცოცხალ შემოქმედებად აქცევდა“

### **რუსუდან ქუთათელაძე**

„მედეამ ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში მიიპყრო ყუ-  
რადლება ფურცლიდან კითხვის ფენომენალური ნიჭით. კონსერ-  
ვატორიაში თუ რომელიმე კონცერტმაისტერი ავად გახდებოდა,  
მას მედიკოთი ჩაანაცვლებდნენ ხოლმე, გაჰყავდათ ლექციიდან  
და ისიც პირდაპირ კონცერტზე უნევდა საფორტეპიანო თან-  
ხლებას ინსტრუმენტალისტს, მომღერალს. მისთვის არ არსე-  
ბობდა უცნობი ტექსტი, უცნობი მუსიკა“.

### **ლონდა სამსონიძე**

„მე თვითონ ვარ მონმე იმისა, მედიკომ ამერიკელ ფლეიტის-  
ტთან ერთად სრულიად უცნობი ტექსტი რომ დაუკრა პირდა-  
პირ კონცერტზე. ასრულებდა შესანიშნავად, დინამიურად, ყვე-  
ლა ნიუანსებით“.

### **გელა ჩარკვიანი**





„კომპოზიტორ დავით თორაძის სიმფონია №2 „ნიკორე ნმინდა“ მედიკომ კლავირის გარეშე, პირდაპირ პარტიტურად დაუკრა და მართლაც, მოხდა საოცრება – დაუკრა ურთულესი სიმფონია ბრწყინვალედ, რითაც ყველას გაოცება გამოიწვია. რასაკვირველია, სიმფონიას წილად ხვდა დიდი წარმატება, მაგრამ ყველა გაოცებული ლაპარაკობდა მედიკოს შესრულებაზე“.

**ელიზბარ ლომდარიძე**

„მედეა ფაქიზი, მუსიკალური სმენით, სხარტი აზროვნებით, ცხოველმყოფელი ენერგიით და კიდევე, ინტერესების საოცარი მრავალმხრივობითაც იყო გამორჩეული, რაც შემდგომ მისი მოღვაწეობის ერთ-ერთ განმასხვავებელ თვისებად იქცა.“

მედეას განსაკუთრებული ღვაწლი ქართული თანამედროვე მუსიკის წინაშე მიუძღვის. ათეული წლები ეწეოდა იგი ჩვენი თანამედროვე მუსიკის პროპაგანდას. გაოცებას იწვევს ამ პროპაგანდის მასშტაბი“...

**ნოდარ გაბუნია**

„მედიკოს მთელი არსება გაჟღენთილი იყო მუსიკით, რომლის გარეშე სიცოცხლე ერთი დღეც ვერ წარმოედგინა. მუსიკა იყო მისი მკურნალი, როცა რაიმე უჭირდა, ან როცა რაიმეს განიცდიდა.“

იმის შიშით, რომ დაკვრაში ხელი არ შეშლოდა, მედიკომ უარი თქვა ოპერაციაზეც, რომელსაც, უდავოდ, შეეძლო მისი სიცოცხლე გაეხანგრძლივებინა. მისთვის აბსოლუტურად სულ ერთი იყო, ვინ უსმენდა მას, მაღალკვალიფიციური პროფესიონალი, თუ პატარა ბავშვი“.

**მედეა ალთუნაშვილი**

„მედიკოს განუმეორებელი ხიბლი ჰქონდა სცენაზე. უნიკალური იყო მისი საშემსრულებლო მანერა. გვაოცებდა კომპოზიტორის ჩანაფიქრში ღრმა ნედომით, ბრწყინვალე ტექნიკით, ელვარე, საოცრად მეტყველი ბგერითა და საშემსრულებლო არტისტიზმით“.

**ვაჟა აზარაშვილი**



„მისთვის, როგორც შემსრულებლისთვის, არ არსებობდა არავითარი პრობლემა. საკვირველი ის იყო, რომ მას არ სჭირდებოდა ბევრი მეცადინეობა, ყველაფერი ადვილად და მალალ დონეზე გამოხდებოდა. უცნობი ტექსტიც კი შეეძლო დაეკრა პირდაპირ კონცერტზე მალალი ოსტატობითა და ჩვეული გზებით“.

**ნუგზარ კიკნაძე**

„საშემსრულებლო ხელოვნებაში შეტანილი დიდი დამსახურებისთვის მედეა ფანიაშვილს 1983 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება. მისი საშემსრულებლო მოღვაწეობა საკმაოდ ვრცლად აღიბეჭდა პერიოდულ პრესაში – ქართულ, რუსულ, გერმანულ, უკრაინულ, უნგრულ, ჩეხურ და სხვა ენებზე დაბეჭდილია 130-ზე მეტი სტატია და რეცენზია“.

**დევილ არუთინოვ-ჯინჭარაძე**

„მედიკოს, ნამდვილ ეროვნულ საფუძველზე მდგარ ხელოვანს, სწორედ ქართული ხელოვნების ძირები აღმოაჩნდა თავისი ხელოვნების ერთადერთ წყაროდ“.

**ედიშერ გიორგაძე**

„იგი იყო მუსიკოსი-პატრიოტი. დაულალავად და უანგაროდ ემსახურა მშობლიურ, ქართულ მუსიკას. ეროვნული საკომპოზიტორო შემოქმედება იყო მისი საშემსრულებლო სოლო რეპერტუარის ქვაკუთხედი. მედეა უშურველად და ხალისით ასრულებდა ქართულ ნაწარმოებებს ყველგან, სამშობლოშიც და მის საზღვრებს გარეთაც“.

**რუსუდან ქუთათელაძე**

„მედიკო იყო ქართველ კომპოზიტორთა სული და გული, ფაქტიურად, მათი თხზულებების „ნათლია“.

**ოთარ ჩუბინიშვილი**

„ძნელია დავასახელოთ შემსრულებელი, ვისაც იმდენი ღვაწლი მიუძღვის ქართული მუსიკის წინაშე, როგორც მედეა

ფანიაშვილს. ის ერთნაირი ერთუზიაზმითა და ერთგულებით ემსახურებოდა, როგორც ცნობილ, აღიარებულ კომპოზიტორებს, ასევე ახალბედა ავტორებსაც".



### ლონდა სამსონიძე

„მართალია, მედიკოს რეპერტუარი ყოველთვის როდი ასახავდა მის გემოვნებას, ის მხოლოდ მის სიკეთეს გვამცნობდა. მედიკო უარს ვერავის ეუბნებოდა და ჩვენც უხვად ვსარგებლობდით ამ სიკეთით. ქართველი კომპოზიტორები მუდამ ვალში იქნებიან მის წინაშე. მისი ინიციატივით ხდებოდა თბილისის მსმენელთა პირველი ზიარება, როგორც ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებთან, ასევე წარსულისა და ამ საუკუნის კომპოზიტორებთან“.

ნოდარ გაბუნია



„ალბათ, არ არსებობდა ჩვენს სინამდვილეში არც ერთი თაობის ქართველი კომპოზიტორი, რომელსაც არ მოსცხებოდა მედიკოს ნიჭის მადლი. იგი ყველას შემოქმედებას ყურადღებითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა“.

**სულხან ნასიძე**

„მედიკოს ხელოვნება არაერთგზის გამხდარა შთაგონების წყარო ჩვენი სახელოვანი კომპოზიტორებისათვის ახალი ნაწარმოებების შესაქმნელად“.

**გოგი ნიუარაძე**

„არ არსებობდა ქართველი კომპოზიტორების არც ერთი ყრილობა, შემოქმედებითი პლენუმი და სხვა ამგვარი ღონისძიება, რომელშიც მედიკოს არ მიეღოს უაღრესად აქტიური მონაწილეობა. ქართველმა კომპოზიტორებმა მას დიდი ხანია „გაჭირვების ტალკვესი“ შეარქვეს. თუ კონცერტში უკანასკნელ მომენტში შეიტანდნენ ახალ და უცნობ ნაწარმოებს, რომლის შემსრულებელი არ გააჩნდათ, საშველად მაშინვე მედიკოს უხმობდნენ. ისიც ყოველგვარი ყოყმანის გარეშე თანხმდებოდა და უკრავდა ლალად, თავისუფლად და არტისტულად. ერთმა კომპოზიტორმა მითხრა: „მედიკოს შესრულების შემდეგ მე ჩემს ნაწარმოებში მის მიერ მონახული შტრიხები თუ ნიუანსები შემაქვს“.

**გულბათ ტორაძე**

ქართული მუსიკის გულმხურვალე პოპულიზატორსა და უბადლო შემსრულებელს, მედეა ფანიაშვილს კომპოზიტორმა სულხან ნასიძემ „ქართული მუსიკის კარიატიდა“ შეარქვა.

1990 წელს ხარკოვში ჩატარებული ქართული კულტურის დღეების შესახებ მუსიკისმცოდნე კ. გევანდოვამ მედეას შესრულება ასე შეაფასა: „ეს ბედნიერებაა, როცა ასეთი ოსტატი მონაწილეობს ნაციონალური, პროფესიული მუსიკის პროპაგანდაში“. თელავში გამართულ საერთაშორისო მუსიკის ფესტივალზე, ელისო ვირსალაძესთან, ნატალია გუტმანთან და ვენის უმაღლესი სკოლის პედაგოგებთან განტერთან და ფურანჟენტთან ერთად, მედეა მონაწილეობდა ღია გაკვეთილებში.

„მედეას ეროვნულობა იყო მიზეზი იმისა, რომ მას ლექცია-კონცერტებით მოვლილი ჰქონდა მთელი საქართველო, რაფაელი რაიონებში აემალლებინა მუსიკალური კულტურის დონე, სამოღვაწეობისთვის ის მრავალჯერ იყო დაჯილდოებული“.

*დევილ არუთინოვ-ჯინჭარაძე*

„მედეას მიაჩნდა, რომ ქართული ხელოვნების მასაზრდოებელი ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხე იყო, ხოლო სად ინებებს განგება ნიჭიერების გამობრწყინებას, არავის ძალუძს წინასწარ იცოდეს“.

*გოგი ნიყარაძე*

„მედეა ხშირად მართავდა გასტროლებს. მოვლილი ჰქონდა მთელი საქართველო, ასევე რუსეთი, უკრაინა, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, უნგრეთი, რუმინეთი, გერმანია, როგორც სოლო კონერტებით, ასევე სიმფონიურ ორკესტრთან ერთად“.

*დევილ არუთინოვ-ჯინჭარაძე*

### **ქართული კულტურის დღეები, 1986 წ.**

„მედეა ფანიაშვილი გაიცნო უნგრელმა მსმენელმაც. მისმა მალალმა პროფესიულმა დონემ და შთაგონებულმა შესრულებამ მოაჯადოვა მსმენელი“

*(ამონარიდი ბუკლეტიდან „საფორტეპიანო დუეტი“).*

„მედეა ფანიაშვილის მიერ ჩატარებული კონცერტის შესახებ ნადეჟდა დიმიტრიადი წერდა: „პიანისტიკა და ინტერპრეტატორის მიერ შესრულებული პოპულარულ შემოქმედთა თხზულებები ცხოველი ინტერესითა და უდიდესი აღფრთოვანებით მიიღო მსმენელმა“.

### **ალმოსავლეთ გერმანია. 1986 წ.**

„დიდი ოსტატობა, მაღალი პროფესიონალიზმი, ცეცხლოვანი ტემპერამენტი, აი, ის თვისებები, რითაც მედეა ფანიაშვილმა მოაჯადოვა მსმენელი, როგორც უდიდესი კლასიკოსების, ასევე ქართველი კომპოზიტორთა ძალზე საინტერესო თხზულებების შესრულებით“.

*ჰაინც შმიდტი (ამონარიდი ბუკლეტიდან „საფორტეპიანო დუეტი“)*

„თანამედროვე ქართული საფორტეპიანო მუსიკა შეუძლებელია წარმოვიდგინოთ იმგვარი მკაფიო შემოქმედებითი ფიგურის გარეშე, როგორც მედეა ფანიაშვილია. ყოველგვარი სიახლის პროპაგანდაში თავდადება, ახალბედა, „დაუფრთიანებელი“ ავტორებისადმი გულისხმიერება, მისეული შესრულება, რომელიც მუდამ con Fuoco-ს ნიშნითაა აღბეჭდილი, ჭეშმარიტად იმსახურებს მაღლიერებას და დაფასებას“.

**რუსუდან ქუთათელაძე. ჟურნალი „Советская музыка“,  
1981 წ. №4**

„მედიკო იყო მაქსიმალისტი, პირდაპირ კოცონივით ენთო. თუ მის სულსა და გონებას რაიმე გაიტაცებდა, ეს იყო გატაცება მთელი არსებით, მაქსიმალური მგზნებარებით“.

**სულხან ნასიძე**

„თვითმყოფი, მჩქეფარე ნიჭი და ენერჯია, მხურვალე გული, მოსვენებას არ აძლევდა მედიკოს ლალ, ხალას ბუნებას ყოფილიყო გულგრილი ჩვენი მუსიკის პრობლემებისადმი და მართლაც, მისი ძალისხმევით ბევრი სასიკეთო რამ გაკეთდა“.

**ბიძინა კვერნაძე**

„მედიკო მარტო დუეტს არ სჯერდებოდა, ხშირად მონაწილეობდა კამერულ ანსამბლებში. მან შექმნა შესანიშნავი კამერული ანსამბლი „კამერეტა“, რომელსაც მიწვევა ჰქონდა ავსტრიაში.“

საქართველოს ყველა რაიონი ჰქონდათ მოვლილი ტრიოს: თამაზ გომელაურის (ჩელო), ნუგ ზარ კიკნაძის (ფლეიტა) და მედეა ფანიაშვილის (ფორტეპიანო) შემადგენლობით. მას ხშირად „ფანიაშვილის ტრიოდ“ მოიხსენიებდნენ.

„მედეა ფანიაშვილი საქართველოში პირველი მუსიკოს-შემსრულებელი იყო, ვინც მიზნად დაისახა ძველებური მუსიკის აღორძინება. იგი პირველი კლავესინისტიცა საქართველოში. მისი მიზანი იყო მივიწყებული საკომპოზიტორო სახელებისა და ნაწარმოებების წარმოჩენა“.

**მზია ჭაჭიაშვილი**

„მედიკოს გამოჩენა რაიონებში დღესასწაულსა ჰგავდა, ისეთი სითბოთი და სიყვარულით ხვდებოდნენ. როცა ვინმეს ჩვენს თავს წარუდგენდნენ, ეტყოდნენ, ესენი „მედიკოსები“ არიანო. ბედნიერება იყო მასთან ანსამბლში დაკვრა, საოცრად გვიადვილებდა შესრულებას. უჩვეულო ინტუიციით გრძნობდა, რას გაიფიქრებდი. მისი ღვთიური ნიჭი და ძალა ჩვენზედაც გადმოდიოდა და ჩვენს შესრულებას სხვა ელფერს აძლევდა. უკეთეს აკომპანიატორს ვერ ინატრებდი“.

**ნუგზარ კიკნაძე**

„1973 წ. საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში გამართული კონცერტის რეპერტუარშიც მხოლოდ კლავესინისთვის დანერილი ნაწარმოებები შედიოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ კონცერტმა გამოავლინა ცნობილი პიანისტის, მედეა ფანიასვილის ნიჭიერების ახალი ნახნაგები, იგი მოგვევლინა ახალ ამბლუაში. წარმოჩინდა როგორც კლავესინის ჭეშმარიტი ენთუზიასტი.

ყოველი წლის ბოლოს, მედეა, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტებთან: ირინე იაშვილი (ვიოლინო), თამაზ გომელაური (ჩელო), ნუგზარ კიკნაძე (ფლეიტა), გიორგი ბერიძე (ჰობოი), ნატალია ჩაგანავა (სოპრანო), ლევან ჩაგანავა (ბარიტონი), ერთად მართავდა კონცერტებს, სადაც უღერდა XVII-XVIII საუკუნეების დასავლეთ-ევროპელი კომპოზიტორების ნაწარმოებები“.

**მზია ქაჩიაშვილი გაზ. „Вечерний Тбилиси“ 1973 წ.**

„საკლავესინო მუსიკის აღორძინებას თბილისში ცნობილმა პიანისტმა მედეა ფანიასვილმა ჩაუყარა საფუძველი. ამ პოპულიზატორის დიდი შრომის ნაყოფი გახლდათ მეტეხის თეატრში გამართული ძველებური მუსიკის კონცერტი. ამკარად იგრძნობოდა კლავესინისტი ვირტუოზული საშემსრულებლო მანერა, შენარჩუნებული იყო საკრავის ემოციური და ტემბრული კოლორიტი“.

**ვლადიმერ ზარიძე**

**გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“. 1982 წ. 15/1.**



„რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მედეა ფანიაშვილი კარგად არის ცნობილი საფორტეპიანო მუსიკის მოყვარულთათვის. ამ ბოლო დროს კი მუსიკალურმა საზოგადოებამ ირწმუნა, რომ ის არის შემსრულებელი, რომელიც ახლის დაუოკებელი წვდომის ძლიერი სურვილის, თავდაუზოგავი შრომისა და დიდი საშემსრულებლო ერუდიციის მეოხებით თამამად ამკვიდრებს ჩვენში კლასიკური ჯაზის ტრადიციებს. მედეა სწორედ ის მუსიკოსია, ვისთვისაც არ არსებობს ჩარჩო, საზღვარი, ან რალაც განსაკუთრებული კრიტიერიუმი. იგი ისეთივე მომთხოვნია, მკაცრი, ძლიერი და მიზანსწრაფულია თანამედროვე მუსიკის სფეროში, როგორც ძველ მუსიკაში“.

*მზია ქაქიაშვილი*

„1989 წ. თბილისის კონსერვატორიაში გამართულ კონცერტზე – საქართველოს სიმებიანმა კვარტეტმა (კონსტანტინე ვარდელი, თამაზ ბათიაშვილი, ნოდარ ყვანია, ოთარ ჩუბინიშვილი), ფლეიტისტმა – ნუგზარ კიკნაძემ, კონტრაბასისტმა – დავით ჯაფარიძემ, დუეტმა მედეა ფანიაშვილისა და მედეა ალთუნაშვილის მონაწილეობით კლასიკასთან ერთად ააჟღერა მედეა ფანიაშვილის მიერ არანჟირებული ნაწარმოებები. მაღალ დონეზე წარმოჩენილმა ინტერპრეტაციამ ალაფრთოვანა მსმენელი. კონცერტზე შთამბეჭდავად გაიჟღერა ჯაზის კლასიკოსების – ბრუბეკის, პიტერსონის, ჯოპლინის ნაწარმოებებმა. ამ კონცერტით მედეა ფანიაშვილმა ერთხელ კიდევ გამოავლინა დაუცხრომელი ენერჯია, გამომგონებლობა, სიახლის ძიების ჟინი“.

*ჟურნალი „ხელოვნება“, 1991 წ. №4*

„მედიკო იყო ის პიროვნება, რომლის თითებმა პირველად ააჟღერა ქართველი თუ უცხოელი კომპოზიტორების უამრავი ნაწარმოები. სწორედ მან მოახდინა საორკესტრო პარტიტურების პრეზენტაცია როიალზე შესანიშნავი შესრულებით“.

*ელიზბარ ლომდარიძე*



„ჩვენი ქვეყნის მუსიკალური კულტურის სიყვარულმა და მისი განვითარებისადმი დიდმა ლტოლვამ მედიკო მიიყვანა იმ აზრამდე, რომ შეექმნა მუსიკალურ-პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელიც მალე გადაკეთდა ხელოვნების აკადემიად. მისი სიკვდილის შემდეგ აკადემიას მიენიჭა მედეას სახელი“ (თუმცა შემდგომი პოლიტიკური მიზეზების გამო, ეს სახელი გააუქმეს).

### **სულხან ნასიძე**

„რექტორობისას მან გამოავლინა ბრწყინვალე ორგანიზატორული და შემოქმედებითი ტალანტი. მისი კეთილშობილური მიზანი იყო პროვინციებში მომუშავე პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლება. ის დიდ ყურადღებას უთმობდა სწავლების მეთოდებს“.

### **დევილ არუთინოვ-ჯინჭარაძე**

„ხელოვნების აკადემიაში მრავალნახნაგოვანი ფიქრი და ზრუნვა მიმართული იყო მუსიკოსის აღზრდაზე. ინერგებოდა ყოველივე საუკეთესო, რაც ახასიათებდა მედეას, დაინტერესება ქართული მუსიკით, ფართო ინტერესი კლასიკური მუსიკისადმი“.

### **ევგენი მაჭავარიანი**

„აკადემიაში მედიკომ თავი მოუყარა მაღალი რანგის მუსიკოსებს, მიიზიდა ახალგაზრდობაც. შეუქმნა მათ მშვენიერი პირობები. ჩვენ იმასაც ვამბობდით: ჩვენ ყველანი „მედიკოსები“ ვართ“.

### **ბიძინა კვერნაძე**

„მედიკო იყო მართლაც ნათელი მუსიკალური ტალანტი, უდიდესი ადამიანური ღირსებებით, გულში ჩამწვდომი სინაზითა და კეთილშობილებით აღსავსე ადამიანი. ეს „ვულკანი“ იყო უჩვეულოდ ორგანიზებული. ასწრებდა ყველაფერს, თითოეული ნუთი განსაზღვრული ჰქონდა, ყველგან დროულად ცხადდებოდა“.

### **თენგიზ ჭუმბურიძე**

„ინსტიტუტში მისვლას მედიკოს ვერავენ მიასწრებდა. ის იყო ტონის მიმცემი, თვითდისციპლინის, სიზუსტის, თავდაუზოგავი შრომის ნიმუში. საათივით ააწყო საქმე, ყველაფრის თავკაცი, ყველა წერილმანში ჩახედული. მისი კეთილი გული ყველას სწვდებოდა, ამხნევებდა და შემოქმედებითად განაწყობდა... აკადემიაში მისვლა ყველას უხაროდა, რადგან იქ სიცოცხლე სჩქეფდა, ხელოვნება ზეიმობდა. მაგრამ, ვაი, რომ არ დააცალეს...“

როცა კი არ უნდა შეგელოთ მისი კაბინეტის კარი, ისე შემოგეგებებოდათ, იფიქრებდით, დღეს დილიდან ჩემს ნახვას ნატრობდით. ამგვარი ქცევით აკადემიის კეთილდღეობას ემსახურებოდა. პედაგოგებისათვის ეს არ იყო სამსახური ფულადი ანაზღაურებისათვის, თითოეულს საკუთარი მოწოდება გვამოძრავებდა“.

### *რუსუდან ქუთათელაძე*

„ყოველთვის მამოცებდა მედიკოს უზარმაზარი ენერჯია, დაულალავობა, როგორც მუსიცირებაში, ასევე ცხოვრებაშიც. იშვიათად მინახავს ისეთი გულისხმიერი, კეთილი ადამიანი, როგორც მედიკო იყო, როგორ შესტიოდა გული სხვისთვის, როგორ ცდილობდა ყველას რამენაირად დახმარებოდა“.

### *თამაზ გომელაური*

„როგორც რექტორმა, მედიკომ, არაერთხელ გაუნოდა ხელი მოყვასს, დაჩაგრულს, სამსახურიდან გაძევებულს, უსახლკაროდ დარჩენილს. მოეფერა, უსამართლოდ აღიარებას მოკლებულ ბევრ ღვანლმოსილ მუსიკოსს იუბილე გადაუხადა“.

### *რუსუდან ქუთათელაძე*

„აკადემიაში ხშირად იმართებოდა კონცერტები, სადაც მონაწილეობდნენ ყველა თაობის პედაგოგები და სტუდენტები, პიანისტები, ინსტრუმენტალისტები, ანსამბლები. ქალბატონი მედეა არ შემოიფარგლა მარტო სწავლის პროცესით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მან დაუბრუნა თბილისს მალალი საშემსრულებლო კულტურით აღბეჭდილი კლა-

სიკური კამერული მუსიკის კონცერტები, რომელიც დიდი ხანია მივიწყებული იყო. იშვიათი გემოვნებით თვითონ ადგენდა სპეციფიკურ კონცერტო პროგრამას, რომელიც გამოირჩეოდა ჟანრული მრავალფეროვნებით".

### ნათელა ქუთელია

„საყოველთაო აღფრთოვანებას იწვევდა მედიკოს ინიციატივით გამართული შეხვედრები ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეებთან. მოსკოვიდან ჩამოსული ოდისეი დიმიტრიადი გულშემოყრილი იყო დანგრეული თბილისის ხილვით (იგულისხმება 90-იანი წლები. რედ.), მაგრამ, როდესაც დაესწრო აკადემიაში შეხვედრას, კაცი გამოიცვალა, გამოცოცხლდა, იმედი ჩაესახა, რომ არსებობს კიდევ საქართველო, არსებობს საერთოდ მუსიკალური ხელოვნების სტიმულები და მუსიკალური აღზრდის არასტანდარტული მეთოდები. ამ ყველაფრის სულისჩამდგმელი და შინაგანი დირიჟორი იყო ქალბატონი მედიკოს“.

### ანტონ წულუკიძე





„კონცერტებსა და შეხვედრებს ხშირად ჰქონდათ „გაგ-  
რძელება“. აქაც კვლავ უღერდა მუსიკა, მაგრამ მუსიკა გას-  
ართობი, მხიარული, იმპროვიზირებული. მედეა პიანისტობას  
არ სჯერდებოდა, ხან „კარმენად“, ხან „მომაკვდავ გედად“ გარ-  
დაისახებოდა, უკრავდა, მღეროდა, ცეკვავდა, თავის ირგვლივ  
ხალისს, იუმორს, სიცხილ-ხუმრობის ფეიერვერკს აგიზგიზებდა.  
ესეც ხომ დიდი ნიჭია“.

### **რუსუდან ქუთათელაძე**

„მედეა მართლაც შეუდარებელი იმპროვიზატორი იყო,  
საოცარი ნიჭი ჰქონდა, თხზავდა შესანიშნავ ხუმრობებს, ძა-  
ლიან კარგად მღეროდა. იგი იყო ნამდვილი შოუმენი. ერთ-ერთი  
ყველაზე ნიჭიერი პიროვნება, ვისთანაც კი მქონდა ურთიერ-  
ობა ცხოვრებაში. მიყვარდა მედეა და ვამაყობდი, რომ ის ჩემი  
მეგობარი იყო“.

### **ვახტანგ უორდანი**

„კონსერვატორიასა და ხელოვნების აკადემიაში მოღვაწეო-  
ბის პერიოდში მედეას ხელში გაიარა 200-ზე მეტმა სტუდენტმა  
(...)“

მიუხედავად იმისა, რომ მედიკოს სოლო და საანსამბლო  
კონცერტები საყოველთაო მოწონებასა და აღფრთოვანებას  
ინვევდა, ის მაინც უკმარისობის გრძნობით იყო შეპყრობილი  
საკუთარი თავის მიმართ. ბოლო რადიოინტერვიუში მან ხაზ-  
გასმით აღნიშნა, რომ მუსიკოსი აუცილებლად აღსავსე უნდა  
იყოს თვითკრიტიკის გრძნობით. იმ დღეს, როდესაც მას ძალიან  
მოეწონება თავისი კონცერტი, შეიძლება ითქვას, რომ მისი, რო-  
გორც მუსიკოსის კარიერა, დამთავრდა (...)“

### **დევილ არუთინოვ-ჯინჭარაძე**

„მედიკო იყო დიდი საზოგადო მოღვაწე. მისი თაოსნობით  
ბევრი სასიკეთო საქმე განხორციელდა. ახლად ჩამოყალიბე-  
ბულ ქართულ ჯარს მედიკომ მის მიერ დაარსებული აკადემი-  
იდან საკმაოდ დიდი თანხა გადაურიცხა. იგი დაზარალებული  
რაიონებიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს, ლტოლვილებისა და



ხელმოკლე ოჯახის შვილებს, ასევე რამდენიმე ნიჭიერ სტუ-  
დენტს აკადემიაში უფასოდ ასწავლიდა. მედიკოს ხელშეწყობით  
რამდენიმე ფერეიდნელი ქართველი დაბრუნდა საქართველოში,  
კერძოდ, კახეთში. თავისი სიცოცხლის ბოლომდე იგი ყურადღე-  
ბას არ აკლებდა მათ”.

**ნუგ ზარ კიკნაძე**

„მედიკო იყო საოცრად თავმდაბალი, მოკრძალებული პი-  
როვნება, ის არასოდეს არ ოცნებობდა რაღაც ტიტულებზე“.

**მედეა ალთუნაშვილი**

სამშობლო იყო მედიკოსთვის საფიცარი ხატი. ის მზად იყო  
თავისი ხორცისა და სულის ყოველი ნაწილი შეენირა მისთვის.  
მან სიკვდილის წინ ისიც კი ინატრა: „ნეტავი შეიძლებოდა ჩემი  
ხელების ვინმესთვის გადანერგვაო.“

მიუხედავად იმისა, რომ მედეას პირად ცხოვრებაში ბედი  
არ წყალობდა, ის თავისი ტკივილით არავის აწუხებდა, პირი-  
ქით, ყოველთვის სხვისი ტკივილის შემსუბუქებას ცდილობდა.



სიკეთის საკეთებლად მედეას მოქმედების მასშტაბები უსაზღვრო იყო. მას შეეძლო საკუთარი სიცოცხლეც სასწორზე დაედო, ოღონდ სხვას დახმარებოდა.

„მედეა მართლაც კეთილ საქმეთა საკეთებლად მოავლინა ღმერთმა ამქვეყნად. მას თუ გაიცნობდი, ველარ მოშორდებოდი. მეგობრის დასახმარებლად მის მზადყოფნასა და თავგანწირვას არ უჭონდა საზღვრები. მე მაქვს ფაქტები იმისა, რომ მან თავისი თავგანწირვით მრავალი პროფესიონალი მუსიკოსი გადაარჩინა შანტაჟს“.

**ოთარ ჩუბინიშვილი**

„მედიკო იყო არაორდინარული პიროვნება, მჩქეფარე ენერგიით სავსე, საოცრად ინიციატივიანი, განუმეორებელი თვისებების მატარებელი. თავის თავში აერთიანებდა უდიდეს სიკეთეს, გულისხმიერებას. იყო ხალასი, უშუალო, კაცთმოყვარეობა გამოსჭვიოდა მის ყოველ მოქმედებაში“.

**სულხან ნასიძე**

„მედიკო მართლაც საოცრად ერთგული პიროვნება იყო. მსგავსი სინაზე, მსგავსი მზადყოფნა მეგობრისათვის, ალბათ, განუმეორებელი იყო. ამ თვისებებმა და პლიუს ღვთისაგან ნაბოძებმა დიდმა ნიჭმა განაპირობეს გამორჩეულობა მის შემდეგომ მოღვაწეობაში“.

**ვეგენი მაჭავარიანი**

„მედეა გაჭირვებისას კარგი ვაჟკაცივით დაუდგებოდა გვერდში ნებისმიერ ადამიანს. თავისი რაინდული სულით მას მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს თუ შევადარებთ“.

**ნუგ ზარ კიკნაძე**

„მედიკოს მეგობრებს ყოველთვის დიდი იმედი გვქონდა მისი და მოურიდებლად მივმართავდით, თუ რამე გვიჭირდა. ისიც თავდაუზოგავად გვიხსნიდა ყველა პრობლემას. არ არსებობდა საქმე, რომელსაც მედიკო თავს ვერ გაართმევდა.“



მედიკოსთან ყოფნა ყოველთვის გვახალისებდა, გვსიამოვნებდა, სიტბოთი და სიყვარულით გვაესებდა და სიცოცხლის ძალას გვმატებდა”.

**ოთარ ჩუბინიშვილი**

„მედეა ქართველთა დამახასიათებელი ტოლერანტობის, შემწყნარებლობის და, ამასთან, ერის გამთლიანების ცოცხალ, მისაბაძ მავალითს იძლეოდა. მის ირგვლივ თავს იყრიდნენ სრულიად განსხვავებული, ურთიერთგამომრიცხავი მსოფლშეხედულებისა და პოზიციის ადამიანები, ვინაიდან მედიკოსთვის უმთავრესი საზომი პროფესიული უნარი იყო. იგი ყველასთან ესწრაფოდა საერთო ენის გამონახვას, ყველას ერთი საქმის, ქართული ხელოვნების სასიკეთოდ რაზმავდა”.

**რუსუდან ქუთათელაძე**

„მედეა მთელი ცხოვრების მანძილზე გარშემორტყმული იყო მეგობართა ფართო წრით. იგი გახლდათ მათი მესაიდუმლე, ხშირად მზრუნველიც. არაფერს იშურებდა, რათა მოყვასისათვის ხელი გაენოღებინა და დახმარებოდა”.

**სულხან ნასიძე**

მედეა იყო საოცრად მიმტევებელი. რაც არ უნდა ცუდი გაგეკეთებინათ მისთვის, გულში ბოღმას არ ჩაიდებდა, პირობით, ცდილობდა სიკეთით გადაეხადა.

„...მაგრამ, იყო საკითხები, სადაც საოცარ პრინციპულობას იჩენდა და არ დაგითმობდა”.

**ვაჟა აზარაშვილი**

„თუ მედიკოს რაიმე და ვინმე არ მოენონებოდა, ან მასში რაიმე ან ვინმე ეჭვს იწვევდა, ხდებოდა მიუტევებელი და დაუნდობელიც კი, მაგრამ ყოველთვის გულუხვად გასცემდა სიკეთეს”.

**სულხან ნასიძე**

შეიძლებოდა მედეას ცხოვრება ია-ვარდით ყოფილიყო მოფენილი, მას რომ ზნეობისა და რწმენისთვის ელაღლა და





გადატრიალებით მოსული კრიმინალური ხელისუფლებისათვის ბოდიში მოეხადა იმ სიტყვებისთვის, რომელიც მან საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას მხარდასაჭერად გამართულ მიტინგზე წარმოთქვა.

„საოცარი იყო მედიკოს აზროვნებისა და განათლების მასშტაბები. ყველა სფეროში ერკვეოდა. ჩვენ თუ ვიქტორინებსა და კროსვორდებში დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად ტვინს ვიჭყლეტდით და მასალებს ვეძებდით, მას შეეძლო უცებ ეპასუხა“.

**ნუგ ზარ კიკნაძე**

„მედიკოს საოცრად დიდი ერუდიცია ჰქონდა, რა წიგნზე ან მწერალზე უნდა დამენყო საუბარი, რომ მას წაკითხული არ ჰქონოდა. მე აღარ ვამბობ მუსიკალური ლიტერატურის ცოდნაზე და მის სწორ შეფასებაზე“.

**თამაზ გომელაური**



„საოცარ ინტერესსა და აღფრთოვანებას იწვევდა მედიკოს  
ლექციები. მისგან ყოველთვის ახალ ინფორმაციას ვიღებდით...  
გვიკვირდა, როდის ასწრებდა ამდენ კითხვას“.

**ნუგზარ კიკნაძე**

„მედიკომ შეძლო მის გარშემო შემოეკრიბა წრე ხელოვან-  
თა, რომლებიც გამოირჩეოდნენ თავისი ნიჭითა და უნარით. ამ  
წრეში შესვლას ყველა ნატრობდა. ამ წრეს განსაკუთრებით მე-  
დიკო ამშვენებდა, ასხივოსნებდა, საოცარი აღმაფრენა ჰქონდა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მედიკოს იუმორი.  
მას იუმორის გარეშე ერთი დღეც არ უცხოვრია. მისი იუმორი  
იყო მახვილი და სიკეთით გამსჭვალული, ხოლო, თუ თანამდე-  
ბობის სკამზე მოკალათებულ ბიუროკრატს ნაანყდებოდა, მკაც-  
რიც ხდებოდა.

ერთხელ, ცხინვალში კონცერტის შემდეგ გამართულ ბან-  
კეტზე, ერთ-ერთმა თანამდებობის პირმა, რომელსაც თავზე  
ერთი ლერი თმა არ ჰქონდა, მოინდომა მედიკოსთვის თავი მოე-  
წონებინა. მან ოსური აქცენტით იმღერა ცაბაძის სიმღერა –  
„ისეუ ის ბიჭი ვარ, ხუჭუჭა, პატარა“. მედიკომ არც აცია და არც  
აცხელა, ზევით ასწია მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი და  
წაუმიღერა დები იშხნელების ცნობილი სიმღერა „არ დაიჯერო“,  
არ დაიჯერო... და კაცი გაშრა“.

**ოთარ ჩუბინიშვილი**

„მედიკო იყო უჩვეულოდ დაუცხრომელი პიროვნება. მარ-  
თლა ერის კაციო, რომ იტყვიან. სერიოზულ პროფესიონალიზ-  
მთან ერთად ის აფრქვევდა თავის იუმორს ვინრო წრეში, თუ  
ფართო საზოგადოებაში. იყო განსაცვიფრებელი იმპროვიზატო-  
რი ყველა სიტუაციაში: ოფიციალური შეხვედრების დროს თუ  
მეგობრულ თავყრილობებში. მიუჯდებოდა როიალს და თხზავდა  
იმპროვიზაციებს თავისი მეგობარი კომპოზიტორების თემებზე:  
ქმნიდა უაღრესად კეთილ პაროდიებს და უკრავდა მათი სტი-  
ლის, მათი ყესტისა და მიმიკის მიმსგავსებით. დიდი ნიჭიერე-  
ბით, დიდი არტისტული სიმახვილით ახდენდა ყოველივე ამას.

არ შეიძლებოდა ასეთი ადამიანი უაღრესად სიკეთით არ  
ყოფილიყო დაჯილდოებული“.

**ანტონ ნულუკიძე**



„მედიკო იყო არა მარტო შესანიშნავი მუსიკოსი, ის გამოჩეული ნიჭით ბრწყინავდა ცხოვრებისეულ მომენტებშიც. იგი მართლაც, განუმეორებელი და შეუდარებელი იყო სუფრასთან თავისი არაჩვეულებრივი იუმორით, თუ მუსიკალური პაროდებით.

მე მახსენდება, როდესაც მოსკოვში კომპოზიტორთა კავშირის საკონცერტო დარბაზში ჩატარებული კონცერტის შემდეგ ნატალია შახოვსკაიამ თავის სახლში რამდენიმე სტუმართან ერთად ქართველებიც მიგვინვია: საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი - კონსტანტინე ვარდელის, ნოდარ ჟვანიას, თამაზ ბათიაშვილისა და ოთარ ჩუბინიშვილის შემადგენლობით, პიანისტი - მედეა ფანიაშვილი, კომპოზიტორები: სულხან ცინცაძე, სულხან ნასიძე და მე. ყველა მაქსიმალურად ვცდილობდით თავი გამოგვევლინა. მე კომპოზიტორების კოპირებით, იმიტაციით, ოთარ ჩუბინიშვილი ჩელოზე, როგორც გიტარაზე, უკრავდა ჩარდაშებს. მედიკო განუმეორებელი იყო თავისი მუსიკალური ფელეტონებით, ბრწყინავდა და მართლაც ამ საღამოს გვირგვინი, დირიჟორი იყო. ეს ის საღამო იყო, რომელიც ადამიანს მთელი ცხოვრება დაამახსოვრდება.


**ვაჟა აზარაშვილი**

„მაგონდება სადღესასწაულო საღამო სულხან ცინცაძესთან, მედიკოს რეჟისორობით დადგმული სასიყვარულო სცენების სხვადასხვა ვარიანტები ჩვენი მონაწილეობით, შემდეგ მისი და პოტ პეტრე გრუზინსკის გაშაირება, იგი ტოლს არ უდებდა ამ უნიჭიერეს პოეტს“.

**ოთარ ჩუბინიშვილი**

„კონსერვატორიის მცირე დარბაზში ჩატარდა კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის საავტორო კონცერტი. ყველაზე ერთსულოვანი მონონება წილად ხვდა საფორტეპიანო სონატას. სპეციალურად უნდა გამოვეყოთ სონატის ნიჭიერი და ძალზე ოპერატული პიანისტი მედეა ფანიაშვილი, რომელმაც მისთვის ჩვეული არტისტიზმით დაუკრა ეს მშვენიერი ნაწარმოები“.

გულბათ ტორაძე. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“. 1980 წ. 4/VI



„მედეა ფანიაშვილის პიროვნების, მუსიკოსის, შემოქმედის, ორგანიზატორის, ბუნების დახასიათებას ზუსტად ესადაგება მუსიკალური ტერმინი – Allegro con fuoco – სწრაფად, ცეცხლოვნად, მგზნებარედ... მართლაც, სწრაფად გაიქროლა მისმა სიცოცხლემ, მგზნებარედ იცოცხლა და იღვანა და შინაგანმა ცეცხლმა დაფერფლა კიდეც. ვაგლახ, ნაადრევად!..“

**რუსუდან ქუთათელაძე. ვაზ. „თბილისი“, 1994 წ.**

„სარეცელზე მიჯაჭვული მედეა სიკვდილის ბოლომდე უფრთხილდებოდა და თავისი ბალიშის ქვეშ სათუთად ინახავდა მისთვის ესოდენ ძვირფას და ღირებულ ბარათს, რომელიც მას ბატონმა ზვიად გამსახურდიამ გამოუგზავნა გროზნოდან:

„ძვირფასო ქ-ნო მედეა! მივესალმები თქვენს მოღვაწეობას ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში. ჩვენი საზოგადოება ალტაცებულია თქვენი პრინციპულობითა და შეუპოვრობით, მიგულეთ თქვენს მოკავშირედ ყველა კეთილ საქმეში“.

**საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.  
1993 წ. 14 ივნისი**

**რუსუდან ქუთათელაძე. წიგნი „მე ვადანაშაულებ  
1991-2001 წლებს“**



მედეა ინსტიტუტის თანამშრომლებთან და პედაგოგებთან

„აკადემიაში მზადდებოდა კონცერტი, სადაც მედიკოს პრე-  
ზიდენტთან ერთად ოთხ ხელში უნდა დაეკრა. ამ ჩანაფიქრს  
განხორციელება არ ეწერა...“

დატრიალდა ტრაგედია. გამეფდა სისასტიკე და სიძულვი-  
ლი. დაიწყო პრეზიდენტის მომხრეთა დევნა.

მედეა არც აქ შედრკა, ინტენსიურად მართავდა აკადემიაში  
კლასიკური მუსიკისა და ლიტერატურის საღამოებს. ერთ-ერთი  
ასეთი საღამო მიეძღვნა კონსტანტინე გამსახურდიას ოუბილეს.  
მედეას სრულიად წარმოუდგენლად მიაჩნდა ის, რომ ქართული  
ლიტერატურის პატრიარქის – დიდი კონსტანტინეს გახსენების,  
100 წლის საიუბილეო საღამო არ ჩატარებულყო საქართველოს  
დედაქალაქში – თბილისში. დიდი მწერლის საღამოს ესწრებოდა  
ქართული საზოგადოების ნაღები და ახალგაზრდობის საუკე-  
თესო ნაწილი. დარბაზში ტევა არ იყო, ნემსს ვერ ჩააგდებდით.  
იუბილე სახალხო ეროვნულ დღესასწაულად იქცა, ყოველგვარ  
პომპეზურობასა და პათეტიკას მოკლებული... ეს არ აპატიეს...”

ამას ემატებოდა ისიც, რომ მედიკომ თავის დროზე, სხვა  
მონინავე ქართველ ინტელიგენციასთან ერთად, თავისი მხარ-  
დაჭერა გამოუცხადა საქართველოს პირველ პრეზიდენტს,  
ზევიად გამსახურდიას.

ამ მხარდაჭერისათვის გადატრიალებით მოსულმა მთავ-  
რობამ, რომლისთვისაც უცხო იყო ზნეობრივი და სულიერი  
ფასეულობანი, მას ძვირი საზღაური გადაახდევინა, მთელი სი-  
სასტიკით ინვნია მედეამ მთავრობის ბინძური და ბასრი ბრჭყა-  
ლები.

ხელისუფლების მიერ გაუქმებული იქნა ოთხი წლის წინ  
გაცემული ბრძანება ხელოვნების აკადემიის გახსნასთან დაკავ-  
შირებით და იგი გამოაძევა ხელოვნების მუშაკთა სახლიდან,  
თავისი 1400 სტუდენტით.

*ნათელა ქუთელია*

„1991-92 წწ. ავბედითმა მოვლენებმა ხელოვნების აკა-  
დემიასაც დარია მსახვრალი ხელი“.

*რუსუდან ქუთათელაძე*



„სამწუხაროდ, მედეას მიერ არჩეულმა სწორმა კურსმა არ მიიღო თავისი ლოგიკური გაგრძელება. დაიწყო სამარცხვინო სასამართლოები, უსიამოვნებები აკადემიის შენობის ხელში ჩასაგდებად. ამან უკანასკნელი ძალა გამოაცალა უკვე მძიმედ დაავადებულ მედეას“.

**დევილ არუთინოვ-ჯინჭარაძე**

„ის ენერჯია, ის ტალანტი, ის ნიჭი, რომელიც მედიკოს უნდა შეენირა მუსიკისათვის, ხელოვნებისა და პოეზიისათვის, მოხმარდა სულ სხვა, ისეთ საქმეს, რომელ საქმეზეც მედეა არ უნდა დახარჯულიყო“.

**ედიშერ გიორგაძე**

„XX საუკუნის დამდეგს რეპრესიების აგორებული ტალღით განადგურებულ ფანიაშვილთა საგვარეულოს, ამავე საუკუნის მინურულში, 90-იან წლებში ქართული ინტელიგენციის ღირსეულ წარმომადგენელს, მედეა ფანიაშვილს, კვლავ დაატყდა ხელისუფლების რისხვა, თუმცა სხვაგვარი, ახლებური. ტყვეით აღარ დაუცხრილავთ, მართალია, მამამისივით ცოცხლად არ დაუმარხავთ, მაგრამ დაუმსხვრიეს ცხოვრებისეული ოცნება, „ხელოვნების მუშაკთა სახლიდან“ გამოაძევეს აკადემია. უსამართლობა შემოქმედი ადამიანის მგრძობიარე სულს ტყვიაზე უფრო ღრმად კოდავს. მედეას, ცხადია, თანამდებობა არ დანებია, მაგრამ ცხოვრებამ ელფერი დაკარგა, სიცოცხლის სისხლხორცეული ნაწილი ჩამოსცილდა, უთანასწორო ბრძოლას ვერ შეეგუა და მოძალებულ სენტანაც გამკლავება, აქამდე ვაჟკაცურად რომ არ ეპუებოდა, გაუჭირდა. ქართული მუსიკალური კულტურის ჩანგს ჩამოწყდა ძალუმად გაჭიმული, მძლავრად აყვარებული სიმი“.

**რუსუდან ქუთათელაძე**

„მედიკოს სიკვდილმა გააფერმკრთალა ქართული საშემსრულებლო ხელოვნება. მისი ნიჭიერება მთელ საქართველოს დააკლდა. იგი დააკლდა ყველა ქართველს“.

**გოგი ნიჭარაძე**

„ქართული მუსიკის კარიატიდა“, – ასე შეარქვა მედეა ფანიანიშვილს ჩვენმა საერთო მეგობარმა, სულხან ნასიძემ, რადგან იგი თავისი მხრებით, უფრო სწორედ, პიანისტური ხელებით, ენეოდა ქართული მუსიკის შემსრულებლის ტვირთს, უფრო ხშირად მისი პირველი შემსრულებელიც იყო.

მეტად დასანანია, რომ ეს სიცოცხლით, იუმორით სავსე, მშვენიერი ქალბატონი ასე ადრე ნავიდა, თავისი უნარის, პროფესიულ შესაძლებლობათა გაფურჩქვნის პერიოდში. ჩვენ ყველას დაგვაკლდა საუცხოო არტისტი, მოღვაწე და მეგობარი”.

*ბიძინა კვერნაძე, ნესტან მესხი*



„მედეას უდროო გარდაცვალებამ ჩვენი საზოგადოება უზომოდ დაამწუხრა. ის გულწრფელი ცრემლი, რაც ასე უხვად დაიღვარა მის ნეშტთან, ის, მართლაცდა ზღვა ადამიანებისა, რომლებმაც გააცილეს მედეა უკანასკნელ გზაზე, იყო ნათელი დადასტურება იმ დიდი სიყვარულისა და პატივისცემისა, რომელიც მოიპოვა მან საზოგადოებაში“.

*სულხან ნასიძე*



„საქართველო ეთხოვებოდა მასშტაბურ პიროვნებას, გას-  
ხივოსნებულს ნათელი, მრავალმხრივი ტალანტით, რომელიც  
ერთგულად ემსახურა ხელოვნებასა და თავის ხალხს. ის იყო  
ქართული მუსიკალური კულტურის მარგალიტი“.

### **დევილ არუთინოვ-ჯინქარაძე**

„ქართველმა საზოგადოებამ მართლაც აშკარად გამოხატა თავისი დამოკიდებულება ეროვნული კულტურის საქმისათვის თავდადებული, პრინციპული და შეუპოვარი ქალბატონის მიმართ. მედეა ფანიაშვილი, როგორც ქართული მუსიკის ერთგული მსახური, გამოასვენეს „საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის“ შენობიდან. საოცარმა სიჩუმემ დაისადგურა აღმაშენებლის გამზირზე, დავარდნილი ნემსის ხმას გაიგონებდა კაცი. მდუმარე პროცესიამ დატბორა ფართო ქუჩა. ზღვა ხალხი, ზღვა ყვავილები, ჩუმი ცრემლი მარადისობისაკენ მიაცილებდა მედეა ფანიაშვილს. ზნეობრივი მტკიცე პოზიციით, პატრიოტული პათოსით, გაბედულებით, სულის მგზნებარებით, და, რა თქმა უნდა, მუსიკოსის იშვიათი ღირსებით მოიპკა მედეა ფანიაშვილმა ფართო საზოგადოების მონივნება და პატივისცემა. იმხანად, 1994 წ. საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაბატონებულ ვითარებაში ამ სახის დაკრძალვამ არსებული რეჟიმის მიმართ აშკარა პროტესტის სახე შეიძინა. ეს იყო ხალხმრავალი მდუმარე დემონსტრაცია. ამ სურათის დავინწყება არ შეიძლება“.

### **რუსუდან ქუთათელაძე**

„დიდი ხანია აღარ შევსწრებივართ ასეთ ხალხმრავალ პანაშვიდს, ასეთ ხალხმრავალ გაცილებას ადამიანისა საუკუნო განსასვენებელში და ეს იმიტომ, რომ ჩვენი საყვარელი მედიკო იყო უნიკალური პიროვნება, და არა მარტო თავისი უსაზღვრო ნიჭიერებითა და შემოქმედებითი პოტენციალით, არამედ წმინდა პიროვნული, ადამიანური თვისებებითაც: სიკეთით, იუმორით, კეთილგანწყობილებით, კოლეგიალობით. ცოტას თუ ჰყოლია ამდენი მეგობარი და თაყვანისმცემელი. დიდად სამწუხაროა, რომ ამ მჩქეფარე, დაუცხრომელი, მუდამ სილალითა და ენერ-



გით სავესე პიროვნებას, რომელსაც, ვინ იცის, რამდენი კარგი საქმე ჰქონდა მომავალში გასაკეთებელი, ცხოვრების ნახევარ გზაც არ ჰქონდა გავლილი".

### გულბათ ტორაძე

„დღეს ჩვენ მონმენი ვიყავით, თუ როგორი ზღვა ხალხი მოანყდა ამ დაკრძალვას. ეს არავითარ შემთხვევაში არ აიხსნება რაიმე სენსაციური მიზეზით. მედია იყო იმდენად დიდბუნოვანი, იმდენად ტემპერამენტული, იმდენად ცეცხლის მფრქვეველი ადამიანი, რომ მისი ცეცხლის ნაპერწკლები ბევრს შეხებია, განსაკუთრებით საქართველოს მუსიკალურ საზოგადოებას.

მედეას ფენომენი მდგომარეობდა მუსიკალური ცხოვრების დაუცხრომლობაში. მას ჰქონდა ტალანტის დაუცხრომელი წვა, როგორც მაღალი კლასის პიანისტს, პროფესიონალს, როგორც პედაგოგს, როგორც ანსამბლების მონაწილეს. როგორც პირველ კლავესინისტს, როგორც საფორტეპიანო დუეტის დამაარსებელს და მის მუდმივ მონაწილეს, როგორც ქართველი კომპოზიტორების დიდ ქომავსა და პროპაგანდისტს“.

### ანტონ ნულუკიძე.

#### გამოსათხოვარი სიტყვა სამოქალაქო პანაშვიდზე

სამძიმრის ბარათი მედია ფანიაშვილის ოჯახს ამერიკიდან გამოუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა, კენტ ბრაუნმა.

„ნება მიბოძეთ გავიზიარო თქვენი მწუხარება ქალბატონ მედეას გარდაცვალების გამო. მე, ჩემს მეუღლესა და საელჩოს სხვა თანამშრომლებს, არასოდეს დაგვავიწყდება ის ხანმოკლე შეხვედრები, რომელიც ჩვენ ქალბატონ მედეასთან გვქონდა. არასდროს დაგვავიწყდება მისი უზადო ხელოვნება, უშრეტო ენერჯია და სიცოცხლის ხალისი. ვწუხვარ, რომ საშუალება არა მაქვს უკანასკნელ გზაზე თქვენთან ერთად გავაცილო იგი, მაგრამ, ვიმედოვნებ, რომ ამ ბარათს მიიღებთ, როგორც ჩემი მწუხარების გულწრფელ გამოხატულებას“.

პატივისცემით კენტ ბრაუნი  
ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი



„ნათქვამია, რასაც დასთეს, იმას მოიმკი. დიახ, ქალბატონმა მედემამ დაიმსახურა უდიდესი სიყვარული და უდიდესი პატივისცემა, როგორც ბრწყინვალე მუსიკოსმა და ადამიანმა, ჭეშმარიტად პატრიოტმა და ძალიან სუფთა პიროვნებამ. მას იმდენი ღვაწლი მიუძღვის ქართული მუსიკის წინაშე, რომ ქართველ კომპოზიტორებს და პირადად მეც, არაერთხელ გვითქვამს მისთვის: სიცოცხლეშივე ძეგლი უნდა დაგიდგათო. მართალია, მედიკო ჩვენთან აღარ არის ფიზიკურად, მაგრამ მისი საქმე და მისი რედაქციით შესრულებული ნაწარმოებები მომავალშიც იცოცხლებს“.

**ვაჟა აზარაშვილი**

„მედიკო იყო დიდი ხელოვანი, დიდი ორგანიზატორი და დიდი ადამიანი. ვიდრე ცოცხალი ვარ, მე არასოდეს დამავიწყდება მისი სიტბო, მისი შესანიშნავი, ღრმა, ამავე დროს სადა, ნაზი და ადამიანური ბუნება“.

**ედიშერ გიორგაძე**

„მოუშუშებელია ტკივილი, რომელიც მედიკოს უდროოდ ნასვლამ დაგვიტოვა. უკიდევანოა მონატრება, რომელსაც მის მიმართ განვიცდით. გვაკლია, როგორც ადამიანი და როგორც დიდი პროფესიონალი. ძალიან მწყინს, რომ საბჭოთა სისტემაში მის უნიკალურ ნიჭსა და მოღვაწეობას ნამდვილად არ ერგო თავისი კუთვნილი ადგილი“.

**ოთარ ჩუბინიშვილი**



„დასანანია ისიც, რომ ისე ვერ გავუფრთხილდით და ისე ვერ მოუარეთ, როგორც იგი ამას იმსახურებდა“.



**ნუგზარ კიკნაძე**

„მედეა ფანიაშვილმა მგზნებარედ, ცეცხლოვნად იცოცხლა, იღვანა და ამოხეთქილი ვულკანივით ჩაიფერფლა“.

**რუსუდან ქუთათელაძე**

„მედიკოს სახელი და ღვანლი იმდენად დიდია ქართულ მუსიკალურ ხელოვნებაში, რომ მისი დავინწყება შეუძლებელია“.

**ოთარ ჩუბინიშვილი**

„დიახ, სწორედ ამას მოწმობს ხსოვნის საღამოები, რომელიც მის სახელს უკავშირდება“.

**მედეა ფანიაშვილს**

**ვასო ლორთქიფანიძე**

სასწაულს ელის ვრცელი დარბაზი,  
სცენას შეჰყურებს ფიქრებაშლილი,  
ფალიაშვილი, ვაგნერი, ბრამსი,  
უკრავს მედეა ფანიაშვილი.

და გულთა სიმებს მოწყდება ქარი,  
ანვდილ ხელებით მოითარეშებს,  
ეს ზეიმია ღვთიური ქნარის,  
სულს რომ ალაღებს, ალხენს, ამშვენებს.

და ეს საღამო ცეცხლის მომდები,  
ვით მარგალიტებს საჩუქრად მატანს,  
დგას უნაზესი ქართველი ქალი,  
შებმული ჯიქურ ჰანგებს ტიტანთა.





შენი ხელების სითბო და მადლი,  
ხილვა მისწური... ასე მგონია,  
ჩვენთა წინაპართ მშობელი მინის,  
ქართლის გულიდან გამოგყოლია.

ავმაღლებულვარ გონით და გრძნობით,  
სიმღერა სულის განა დაცხრება,  
ამაყი მზერით მიმომატარებს  
ეს შთაგონება და გატაცება.

სუნთქავს დარბაზი, ვით ერთი კაცი,  
გალაღებული, ფიქრებაშლილი  
და ცას და მინას შეფურებული  
უკრავს მედეა ფანიაშვილი.

1993 წ.

### რეკვიემი

(მედეა ფანიაშვილის ხსოვნას)

*ლევან დუმბაძე*

მშვენიერ აპრილს ეკადრება განა ასეთი ჩუმი სიმკაცრე,  
მაგრამ სულს შენსას ანგელოსი წაიყვანს ფრვინვით, ცად  
გაიტაცებს.

აჰყვება ამ გზას უსპეტაკეს, სიმით ღარულს,  
და სული შენი უგალობებს მწუხარე მამულს.

ან ამ ყვავილებს შენ არ უნდა ხვდებოდე განა?  
რომ როიალის თეთრი ფრთისკენ მიგქონდეს წყნარად,  
რომ ყვავილები იყოს მთვრალი თითებით თლილით  
და სიყვარული კლავიშებზე მუსიკად ვლილი.  
ო, მშვენიერო ქალბატონო, დაღლილი ტანით,  
ქარს ფოთოლივით წაუღია ლამაზი წამი.

1995 წ.



# რჩევა ლეგენდა

მედია ფანიაშვილს  
„ქართული მუსიკის კარიატიდა“-ს

ო, ეს სამყარო, სადაც უმჯობესნი საგანნი  
განწირულია უკულმართი ბედისთვის.

შექსპირი

ერთსა ნაგრამსა ფანიაშვილთა,  
გამოღწეულსა ნითელ ჯალათებს,  
აგდევენებია წერა ავბედი,  
თუმც კი გიძღვნიდნენ ვარდის კალათებს,  
ბგერა კვესავდა როგორც აბედი,  
ჰგავდი ამორძალს.  
მიმოაბნევედი ვითარცა მტრედებს  
ფორტეპიანოს იალალებზე  
მტევანთა ორ ცალს,  
როილს ამკობდი რომაულ პროფილით,  
მოესაკლისე ჰანგების ედემს,  
კლავიშებს კანრავს სხივი პორფირის,  
ვაი, რომ დღესაც ვერ ვართ გულმშვიდი,  
კარებებს ლენავს ქარი ორპირი.  
მამულისათვის თავდადებულნი რჩებიან კენტად,  
ამქვეყნად თურმე ბედი არ სწყალობს  
დიდ ქალბატონებს,  
გულის საოხად რჩება ლეგენდა.

ქართული მუსიკის ცენტრი 2014 #24



Իր արժեքը չդրուի ձեռքով հարկող պլանի կողմից,  
հայտնի թե՛ հասցեով փոխարկ կարող է լինել, հայրենի արժեքը  
պետք է չհեռանալու, աստիճանագրված արժեքներն են ինչպե՛ս,  
աստիճանագրված ինքնակազմակերպության կողմից  
Զ. Գրեյսթերն 11/12

Մեծերը, շատերը համարում են,  
ուսումնական շրջանի պետք չդրվող ինչպե՛ս,  
ուսումնական, ինչպե՛ս և դրանց համարժեքները,  
տեղերի և զարկի համարժեքները, համարժեքները? Զ. Գրեյսթերն 11/12

Գրեյսթերն ինչպե՛ս, աստիճանագրված,  
հայտնի թե՛ հասցեով փոխարկ կարող է լինել,  
հայրենի արժեքը պետք է չհեռանալու,  
աստիճանագրված արժեքներն են ինչպե՛ս,  
աստիճանագրված ինքնակազմակերպության կողմից  
և ինչպե՛ս համարժեքները չհեռանալու,  
ուսումնական շրջանի պետք չդրվող ինչպե՛ս,  
ուսումնական, ինչպե՛ս և դրանց համարժեքները,  
տեղերի և զարկի համարժեքները, համարժեքները?  
Զ. Գրեյսթերն 11/12

Զ. Գրեյսթերն ինչպե՛ս, աստիճանագրված,  
հայտնի թե՛ հասցեով փոխարկ կարող է լինել,  
հայրենի արժեքը պետք է չհեռանալու,  
աստիճանագրված արժեքներն են ինչպե՛ս,  
աստիճանագրված ինքնակազմակերպության կողմից  
և ինչպե՛ս համարժեքները չհեռանալու,  
ուսումնական շրջանի պետք չդրվող ինչպե՛ս,  
ուսումնական, ինչպե՛ս և դրանց համարժեքները,  
տեղերի և զարկի համարժեքները, համարժեքները?  
Զ. Գրեյսթերն 11/12



Շահակ Չոկոսկի, ՅՈՒՆ ԿՐԹԱՆԻ  
 ՉԻՆՆԵՐԸ ԵՆԿՆԵՐԸ ԳԻՆԵՐԸ ԳՈՒԾՈՒ  
 ԵՄ, ԿՈՄՍՄՈՒՆԻՍՏԻ ԿՐԹԱՆԻ  
 ԵՄՊԵՐԱԿ ԵՄ, ԵՄՊԵՐԱԿ ԳՐԱԿՈՒԹՅԱՆ  
 ԵՄ, ԿՐԹԱՆԻ ԵՄՊԵՐԱԿ ԵՄ  
 ԿՐԹԱՆԻ ԵՄՊԵՐԱԿ ԵՄ



Мезгала ԴՅՈՐԱԾ, ԿԱՏԱԾ, ԿԵՂԵՂԵՐԸ  
ԴՔ, րանիսե ու ուեմ ուոուոո  
Ըառե, ու ուսոոո Ի «Օուոո»  
Էսո ոոոոո - ոոոոո ուեմ  
Ըսո - Եզ Եոոո ոոուոո



Ս. Բախաբանի

ՆՈՒՆՈՒԹՅԱՆ ԿՐԹԱՆԻ ԵՄ  
 ԿՐԹԱՆԻ ԵՄՊԵՐԱԿ ԵՄ



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

საქართველოს საფორტეპიანო  
დუეტი







## მედეა ფანიაშვილს, ფორტეპიანოს პაგანიუს

ზღვა ეფერება ფერად კენჭებს და  
ნაპირზე რიყავს თევზებს, ქორჭილებს,  
იმორჩილებდი თეთრ და შავ კლავიშს,  
მაგრამ ზედი ვერ დაიმორჩილე,  
ეფერებოდი ნაზი თითებით  
ბახს, მოცარტსა თუ ლუდვიგ ბეთჰოვენს  
და წუთისოფლის ავი მითებთ  
როგორ მარტივად გამოგვეთხოვე.

შენი ცისკარი ღამემ შეცვალა,  
ღამემ მანძახით და ყიამეთით,  
შენ ქალბატონო ბერძნულ პროფილით,  
მაგრამ ქართული ტემპერამენტით.  
აღარ მოისმის სულის საკნიდან  
შენი ფოქსროტი და მენუეტი.  
და სასწავლებლის ღია სარკმლიდან  
ორი მედეას ლაღი დუეტი.

ახლა ღრუბელი გისწორებს ბალიშს,  
რა სჯობს ზეცაში ფერად ქორწილებს,  
იმორჩილებდი თეთრ და შავ კლავიშს,  
მაგრამ ზედი ვერ დაიმორჩილე.


მანანა დანგაძე



„კამერული მუსიკის სიყვარულმა უბიძგა რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტებს მედეა ფანიაშვილსა და მედეა ალთუნაშვილს შეექმნათ საქართველოში პირველი საფორტეპიანო დუეტი, რომელმაც 22 წლის მანილზე ბევრი სასიამოვნო წუთი აჩუქა მსმენელს. ამ იდეას საფუძველი 60-იან წლებში, ხსენებული ანსამბლისტების ჯერ კიდევ კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში ჩაეყარა.

საერთოდ, დუეტი შესასრულებლად მეტად ჭირვეული და რთული ფორმაა, პარტნიორის მიმართ უდიდესსა და დაძაბულ ყურადღებას მოითხოვს. ასევე, მნიშვნელოვანია სინქრონიზობის აბსოლუტური სიზუსტე, რიტმისა და ტემპის მხრივ. ის, რაც სოლო შემსრულებლისთვის უპრობლემოა, მაგალითად, ტემპიდან ოდნავ გადახრა, აქ ეს ყველაფერი გამოორიცხულია.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში საფორტეპიანო დუეტის შექმნის ცდები მანამდეც იყო, მაგრამ ყოველი მათგანი წარუმატებლად დამთავრდა. ამ ორმა სულისმიერმა და თანამოაზრე მეგობარმა კი, მედეა ფანიაშვილმა და მედეა ალთუნაშვილმა, მეოთხედი საუკუნის მანძილზე აცოცხლეს XX საუკუ-



ხასიათობრივი სხვაობა მოწოდებულია არა კონტრასტის შესაქმნელად, არამედ პირიქით, ურთიერთშევესებით გზით მთლიანობის ჩამოყალიბებას ემსახურება. მათი მუსიცირება თანხმობის ანსამბლურობის მძაფრი შეგრძნებითაა აღბეჭდილი, ხოლო სულიერი ნყოფის, ტემპერამენტის სხვაობა, მიზნისკენ ფეხანყობილი სწრაფვის, ესტრადაზე მწყობრი მთლიანობის ჩამოყალიბების საწინდარია.

ეს საფორტეპიანო დუეტი კარგი, საზეიმო განწყობილებით, ოპტიმიზმის აღავსებს მსმენელს.

აფიშები, პროგრამები ცხადყოფენ, რაოდენ ფართო მუშაობას ენეოდა დუეტი. საკონცერტო ნაწარმოებთა ნუსხა ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მუსიკოსთა მხატვრული ინტერესების თვალსაწიერზე. ისინი არ იფარგლებოდნენ ეპოქის, სტილის ჩარჩოებით. ქართული საფორტეპიანო დუეტის პროგრამებში უღერდა ეროვნული, ევროპული, რუსული, წინაკლასიკური, თუ კლასიკური, რომანტიკული თუ ჩვენი დღეების მუსიკა. მონტევერდის, სკარლატის, პერსელის თხზულებებთან ერთად პიანისტები ეუფლებოდნენ რახმანინოვის, სტრავინსკის, შოსტაკოვიჩის შემოქმედების ნიმუშებს; მესიანის, პულენკის, ბარტოკის, შინდერმითის, ბრიტენის ქმნილებათა პარალელურად ასრულებდნენ ნასიძისა თუ თავთაქიშვილის, მაჭავარიანის, კვერნაძის, აზარაშვილისა თუ სხვა ქართველ კომპოზიტორთა მუსიკას. აქ ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას, ფანიაშვილისა და ალთუნაშვილის დუეტს საფუძველი აქვს იამაყოს, რომ მათი მუსიცირება რამდენიმე ქართული ნაწარმოების შექმნის სტიმული გახდა. მათმა შემოქმედებამ უბიძგა ს. ნასიძეს, ა. მაჭავარიანს, ვ. აზარაშვილს, ფ. ლლონტს სპეციალურად შეექმნათ ნაწარმოებები საფორტეპიანო დუეტისათვის. ეროვნული ინსტრუმენტული მუსიკის საგანძურის გამდიდრება რამდენიმე თვითმყოფი ნაწარმოებით ფანიაშვილი-ალთუნაშვილის მოღვაწეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღირსებად უნდა მივიჩნიოთ. აქვე უნდა დავძინოთ - დიდია მათი წვლილი ქართული ინსტრუმენტული მუსიკის პროპაგანდის კეთილშობილურ საქმეში. ეროვნული მუსიკა ხომ მათი საკონცერტო პროგრამების აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.


ცალკე ჩამოთვლას იმსახურებენ იმ კომპოზიტორების ნაწარმოებები, რომელთა მდიდარ სამყაროსთან თბილისელი მსმე-



ნელის პირველი ზიარება ამ მუსიკოსთა ინიციატივით მოხდა. ქართველ კომპოზიტორებთან – ბიძინა კვერნაძესთან, რევაზ ლალიძესთან, ფელიქს ლლონტთან, ოთარ თევდორაძესთან და სხვებთან ერთად არიან წარსულის თუ ამ საუკუნის კომპოზიტორები. ამის დასასაბუთებლად რამდენიმე მათგანის დასახელებაც იკმარებს. ეს არის შესანიშნავი ფრანგი კომპოზიტორის სენ-სანსის სუიტა „ცხოველთა სამყარო“, რომლის მხოლოდ თითო-ოროლა ნაწილს თუ ვიცნობდით; თანამედროვე პოლონური საკომპოზიტორი სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლის ლიუტოსლავსკის „მცირე სუიტა“. რუსი სიდელნიკოვის საავტორო კონცერტზე საქართველოს სიმფონიურ ორკესტრთან დირიჟორ ჯ. კახიძის ხელმძღვანელობით შესრულებულ საკონცერტო სიმფონიაში „დეული“, ჩელოს, კონტრაბასისა და დასარტყამ ინსტრუმენტებთან ერთად სოლისტებად მოგვევლინა ფანიაშვილი-ალთუნაშვილის დუეტი.

მედეა ფანიაშვილის ინიციატივით ქართულ საფორტეპიანო დუეტს ხშირად გაუმართავს თემატური და მონოგრაფიული კონცერტები, რომელთა ვრცელი ჩამონათვლიდან რამდენიმეს გამოყოფაც იკმარებს. აღსანიშნავია 1974 წ. პირველად ჩატარებული „ძველებური მუსიკის სალამო“, სადაც აჟღერდა ჰენდელის, ბახის, ტელემანის, კუპერენისა და წარსული ეპოქის სხვა მრავალი კომპოზიტორის ჩვენთვის მივიწყებული, ან სრულიად უცნობი თხზულებები. ან კიდევ 1978 წელს გამართული სტრავინსკისადმი მიძღვნილი სალამო. ამ კონცერტზე დუეტმა შეასრულა თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი კომპოზიტორის რთული ქმნილებები: სონატა ორი ფორტეპიანოსათვის, კონცერტი ორი ფორტეპიანოსა და დასარტყამი ინსტრუმენტებისათვის.

საფორტეპიანო დუეტი ანსამბლური მუსიკირების ერთ-ერთი ყველაზე იშვიათი კოლექტივია. თითებზე ჩამოსათვლელია მუსიკოს-შემსრულებელთა ერთობლივი შემოქმედების ამგვარი სახეობა. მედეა ფანიაშვილის მუსიკალური ნიჭი ამ შემთხვევაში გამომგონებლურ ნიჭს შეუზავდა. მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე მისი მეოხებით ქართულმა საფორტეპიანო დუეტმა სისხლსავსე შემოქმედებითი ცხოვრებით იცოცხლა, სახელი გაითქვა არა მხოლოდ საქართველოში. ქართველი პიანისტების მუსიკირებას დიდი სიამოვნება მიუნიჭებია უცხოელი



მსმენელისათვისაც. ამას მონაწილეს იმ დროის საბჭოთა და სოციალისტური ქვეყნების ქალაქებში გამართული კონცერტების რეცენზიები, საგაზეთო წერილები.

დარჩენილა კი საქართველოში რაიონი, ქალაქი თუ სოფელი, სადაც მუსიკალური სკოლა არსებობდა და მედეა ფანიასეილი მუსიკალური კულტურის დონის ასამაღლებლად იქ ლექცია-კონცერტით არ გამოსულიყო. იგი თავდადებად ეწეოდა პროფესიული მუსიკის პროპაგანდის საქმას.

*რუსუდან ქუთათელაძე.*

**გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ 1986 წ.**

„დეუტის ჟღერადობა გამოირჩევა მაღალი კულტურით, საშემსრულებლო აღმაფრენით, ტემპერამენტით, სტილის შესანიშნავი შეგრძნებით, შესრულების მხატვრული სრულყოფილებით. დეუტი საინტერესოა იმიტაც, რომ მათ პროგრამაში ხშირად ჩართულია ახალი თხზულებები, რომლებიც პირველად სრულდება ესტრადაზე. დეუტი ფართო პროპაგანდას უწევს ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს და მათი მეშვეობით ქართული მუსიკა გამდიდრდა მთელი რიგი საინტერესო ნაწარმოებებით ამ წანაში – ორი როიალისათვის მოგვევლინა, მაგალითად, სულხან ნასიძის სუიტა „სამი ხალხური ცეკვა“, ვ. აზარაშვილის „ქართული სუიტა“, „ესპანური სუიტა“, „რეტრო“, „ძველებური ესკიზები“, ტ. ბაქრაძის სუიტა „ქართული ჰანგები“.

*დევილ არუთინოვ-ჯინჭარაძე*

**გაზეთი „თბილისი“ 1973 წ.**

„საქართველოს საფორტეპიანო დეუტმა თავიდანვე გაიჩინა დამფასებელთა, პატივისმცემელთა და მოყვარულთა მთელი არმია. გაიჩინა ქვეყნის მთელი შემოქმედებით, რეპერტუარის სიმდიდრით, თავდადებული შრომით, თითოეული ნაწარმოების ნიუანსების სიზუსტით, თითოეული მუსიკალური ბგერისადმი ერთგულებით, ქართული მუსიკის პროპაგანდით.

მაღე გასცდა საქართველოს საზღვრებს ორი ქართველი ოსტატი ქალის სახელი და მათმა ხელოვნებამ მოხიბლა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ხარკოვისა თუ მოძმე რესპუბლიკების მსმენელები.

მათ დაამშვენეს ქართული კულტურის დღეები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მოიპოვეს სიყვარული და პატივისცემა. როცა ისინი როიალთან სხდებიან და კლავემებს უბიან, მსმენელმა იცის, რამდენიმე საათი როგორი ზღაპრული მშვენიერების სამყაროში მოუწევს ცხოვრება.

ერისქალობენ მედეა ფანიაშვილი და მედეა ალთუნაშვილი და თავიანთი შესრულებით ქვეყანას ამცნობენ ქართველი ქალის ნიჭს, ალღოს, გემოვნებას, დესპანობენ ქართულ მუსიკალურ კულტურას".

**კირა კვიციანი**  
**გაზეთი „თბილისი“, 1973 წ.**

„სახელმწიფო ფილარმონიის მცირე დარბაზში საფორტეპიანო დუეტის მიერ გამართული კონცერტით აღფრთოვანებულიმა კომპოზიტორმა ალექსი მაჭავარიანმა აღნიშნა შემსრულებლების მაღალი პროფესიული დონე: „მათ ადვილად სძლიეს ყოველგვარ სირთულეს, როგორც ტექნიკურს, ასევე ნაწარმოებების დედააზრის სიღრმისეულ შეგრძნებას და საკმაოდ მძაფრად წარმოაჩინეს დრამატული მომენტები“.

„ფილარმონიის მცირე დარბაზში შედგა სოლისტ მედეა ფანიაშვილის სოლო კონცერტი. კონცერტი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმით, რომ გვამცნო საშემსრულებლო ახალი ყანრის დაბადება თბილისის მუსიკალურ ცხოვრებაში. ასევე გამოავლინა მსმენელისათვის კარგად ცნობილი პიანისტის მედეა ფანიაშვილის ნიჭიერების ახალი ნახნაგები. იგი ახალ ამბულაში მოგვევლინა, კლავესინის ჭეშმარიტ ენთუზიასტად.

კლავესინზე – ფორტეპიანოს წინამორბედზე, მედეა ფანიაშვილმა შეასრულა XVII-XVIII ს. დასავლეთ-ევროპულ კომპოზიტორთა: ბუქსტეჰუდეს, კუპერენის, ტელემანის, კუნაუს, რამოს ნაწარმოებები.

შემსრულებელი საუცხოოდ აფლერებდა კლავესინს. მთელი კონცერტის მანძილზე ნათელი, საზეიმო განწყობა სუფევდა, რაც კლავესინისტის დამსახურება იყო“.

**ნ. ხომერიკი**  
**გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1973 წ. 22/XI.**



პირველი შემოქმედებითი კავშირი საქართველოს საფორტეპიანო დუეტისა და ლენინგრადის საფორტეპიანო დუეტისა, ბრუკისა და ტაიშანოვის შემადგენლობით, 1975 წელს შედგა. მათ თავისი მხარდაჭერით, კოლეგიალობითა და აღიარებით გაამხნევეს ახალგაზრდა ქართველი პიანისტები.

„საქართველოს დუეტი - ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი ქართული საშემსრულებლო ხელოვნების ისტორიაში. უდავოდ დიდია მათი ნიჭი და აზროვნების მასშტაბი. მრავალფეროვანია მათი რეპერტუარი, მოიცავს ყველა ეპოქის მუსიკას. უდიდესია საზოგადოების ინტერესი მათი კონცერტებისადმი. მრავალფეროვანი პროგრამა, მაღალი არტისტიზმი, იმპროვიზაციულობა - აი, რითაც მოგვაჯადოეს ჩვენმა საყვარელმა მედიკოებმა“.

თამაზ ბათიაშვილი





„საქართველოში ადრეც იყო ცდები საფორტეპიანო ანსამბლის შექმნისა, მაგრამ არც ერთი არ იყო წარმატებული. მედიაფანიაშვილისა და მედია ალთუნაშვილის დუეტს ახასიათებს სიმძაფრე მუსიკალური ნიჭიერებისა, მაღალი საშემსრულებლო ტექნიკა და კარგი გემოვნება“.

**ალექსი მაჭავარიანი**

„უდიდესი იყო საზოგადოების ინტერესი დუეტის კონცერტებისადმი. მრავალფეროვანი პროგრამა, მაღალი არტისტიზმი და, რაც მთავარია, იმპროვიზაციულობა – აი, რითაც მოაჯადოვა მან მსმენელი“.

**თამაზ ბათიაშვილი**


„ყოველთვის სიხარულით მივდივარ დუეტის კონცერტებზე, რადგან მათ აქვთ ფართო სპექტრის რეპერტუარი. უკრავენ ძველს, ახალს, კლასიკურს, აკადემიურ ჯაზს, ესე იგი, ასრულებენ ფაქტიურად ყველაფერ იმას, რაც მსმენელებს ძალიან მოსწონთ. არ დგას მათ შესრულებაში ტექნიკური პრობლემა. მათ შესრულებას ახასიათებს იმპროვიზაციული თავისუფლება. პიანისტები თავისუფლად ფლობენ ინსტრუმენტს“.

**გელა ჩარკვიანი**

„კონსერვატორიაში ჩატარებულმა საფორტეპიანო დუეტის კონცერტმა ერთხელ კიდევ გვაგრძნობინა, თუ როგორ იზრდებიან ჩვენი ახალგაზრდა პიანისტები, რა ფართოა მათი შემოქმედებითი ინტერესები და როგორი სერიოზულობით ეკიდებიან ისინი თავიანთ პროფესიას.“

მათ რეპერტუარში ფართოდ იყო წარმოდგენილი ქართველ კომპოზიტორთა სახელები, ასევე სტრავინსკი, ბარტოკი, პენდერეცკი, ლიუტოსლავსკი, ბრიტენი, პულენკი, მესიანი.

თანამედროვე მუსიკის ინტერპრეტაციისას საფორტეპიანო დუეტისათვის უმთავრესია აზრის სიმახვილე, მისი ემოციური შეგრძნება, გააზრება, რაც მათ მსმენელთა დაპყრობისა და ჩაფიქრების საშუალებას აძლევს. პიანისტები ხიბლავენ მსმენელს ბგერის კულტურით, დინამიური ნიუანსებით, ტემბრული ფერების ძიებით – ეს ყველაფერი ემსახურება ერთიან მიზანს –





სრულად გადმოსცენ მუსიკის შინაგანი აზრი. მათ მიერ წარმოდგენილი მუსიკალური სახეების განვითარება გამოირჩევა რელიეფურობით, ლოგიკური სიმტკიცით.

ყველა შესრულებული ნაწარმოების ინტერპრეტაციაში პიანისტებმა გამოავლინეს საანსამბლო დაკერის დიდი ოსტატობა, ერთიანი სუნთქვის გასაოცარი შეთანხმებულობა".

*იმნაძე-ჩხარტიშვილი*

**გაზ. „Вечерний Тбилиси“ 1978 წ. 19/XII**

„კიევის ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართულმა ახალგაზრდა ქართველი პიანისტების, მედეა ფანიაშვილისა და მედეა ალთუნაშვილის კონცერტმა თავისი საინტერესო პროგრამით მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

შემსრულებლების მაღალმა პროფესიულმა დონემ და რთულმა პროგრამამ მოხიბლა კიევის საკმაოდ პრეტენზიული მსმენელი“.

*ი. დოვგალენკო*

**გაზ. „Вечерний Киев“, 1979 წ.**

„მედეა ფანიაშვილისა და მედეა ალთუნაშვილის დუეტს ახასიათებს შესანიშნავი, ცხოველმყოფელი შესრულება, ხალისიანი, ენერგიული და საოცრად ოპტიმისტური. ორივე მუსიკოსი ალტურვილია ძალიან მაღალი საშემსრულებლო ტექნიკით.

მედეა ფანიაშვილმა და მედეა ალთუნაშვილმა დიდი როლი შეასრულეს ქართული მუსიკის პოპულარიზაციის საქმეში. არ არსებობდა ისეთი კონცერტი, სადაც მათ არ შეესრულებინათ ეროვნულ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. მათი შესრულება ყოველთვის ხასიათდებოდა მაღალი ოსტატობით, შესანიშნავი გემოვნებითა და საუკეთესო ტექნიკით.

მუსიკალური ნიჭიერების სიმნიფე, შესრულების მაღალი ტექნიკა, ნაწარმოების შინაარსის სიღრმისეული წვდომა, კარგი გემოვნება, გვარწმუნებს იმაში, რომ დუეტი შესანიშნავი, საინტერესო, მაღალი პროფესიული დონის ანსამბლია, საინტერესო რეპერტუარით“.

*ალექსი მაჭავარიანი*

„ჩვენ საკონცერტო ესტრადაზე ახლა იშვიათობაა ოთხი ხელით ერთ ინსტრუმენტზე მუსიცირება. მით უფრო მნიშვნელოვანია თბილისელი ახალგაზრდა შემსრულებლების წარმატება. მედია ფანიაშვილმა და მედია ალთუნაშვილმა წარმოგვიდგინეს საინტერესო პროგრამა, რომელიც დააკმაყოფილებდა საფორტეპიანო მუსიკის ყველაზე მომთხოვნ თაყვანისმცემლებს (...) არ შეიძლება არ აღინიშნოს რთული პროგრამის შესრულების მაღალი პროფესიული დონე და ახალგაზრდა პიანისტების მომთხოვნი საშემსრულებლო კულტურა“.

### გაზ. „Вечерний Киев“ 1979 წ.

„დუეტმა მალე გაითქვა სახელი არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ უცხოეთშიც. მან დაამშვენა ქართული კულტურის დღეები უნგრეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მათმა ხელოვნებამ დაატყვევა მსმენელი და მოიპოვა დიდი სიყვარული და პატივისცემა“.

*კირა კვიციანი*

„მედეა ფანიაშვილისა და მედეა ალთუნაშვილის საფორტეპიანო დუეტმა ჩანერა ჭეშმარიტად შესანიშნავი ფურცელი ქართული საშემსრულებლო ხელოვნების ისტორიაში“.

*თენგიზ ჭუმბურიძე*

„მეტეხის თეატრის კედლებში აჟღერებულმა რამოს მუსიკამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ნამდვილი ხელოვნება, რომელიც ადამიანის გულწრფელი ემოციების გამოშხატველია, არ ბერდება.“

რამოს მუსიკის შესრულების სირთულეს წარმოადგენს არამარტო ემოციური და ტემბრული კოლორიტის შენარჩუნება, არამედ ეპოქის სტილის განსაზღვრა. თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტებმა მედეა ფანიაშვილმა (კლავესინი), ნ. კიკნაძემ (ფლეიტა), ნ. გოგიბედაშვილმა (ალტი) კარგად გაართვეს თავი ამ სიძნელეს. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა დუეტმა მედეა ფანიაშვილის (კლავესინი) და

ნ. კიკნაძის (ფლეიტა) შემადგენლობით. შემსრულებლებმა გამომჟღავნეს მაღალი პროფესიონალიზმი, რამოს დრღინდელი ეპოქისა და სტილის საოცარი აღქმა".

ნადეუდა დიმიტრიადი

მედია ფანიაშვილი კლავესინზე დახელოვნებისათვის ესწრება ცნობილი ჩეხი კლავესინისტის, სიუზანა რეუჩკოვას სემინარებს.

თუ შევაჯამებთ დუეტის ათწლიან თავდადებას და უდიდეს შრომას, შეიძლება თამამად ითქვას, რომ იგი გამოირჩევა პროფესიული სიმნიფით, მაღალი საშემსრულებლო კულტურით, ბრწყინვალე ტექნიკით, ფაქიზი გემოვნებით და მისწრაფებით – გახსნან მთელი სირთულე და სიმძაფრე მათ მიერ შესრულებული თხზულებებისა.

„შესანიშნავმა მუსიკოსებმა და გამორჩეულმა პიანისტებმა მედია ფანიაშვილმა და მედია ალთუნაშვილმა, რომლებიც ფლობენ ნათელ არტისტულ ინდივიდუალობას, მონახეს საერთო ხელნერა: მათი შესრულება გამოირჩევა ჩანაფიქრის მთლიანობით, კარგი გემოვნებითა და საინტერესო რეპერტუარით, რაც გახდა სანინდარი დიდი ნარმატივისა. მრავალრიცხოვანი გამოსვლებით მათ დააგროვეს უმდიდრესი რეპერტუარი, სადაც კლასიკური მუსიკის გვერდით ჟღერს თანამედროვე მუსიკის საუკეთესო ნიმუშები. საფორტეპიანო დუეტმა მიაღწია მხატვრულ სიმნიფესა და ოსტატობას“.

ალექსანდრე შავერზაშვილი  
გაზ. „Вечерний Тбилиси“ 1981 წ.

„იშვიათი ტემპერამენტითა და მგზნებარებით იქნა შესრულებული შუბერტის რონდო რე მაჟორი ოთხი ხელისათვის. რთულ პასაჟებს არაჩვეულებრივად ნაზი და გულში ჩამწვდომი მელოდია ენაცვლებოდა.“

დებიუსის „პატარა სუიტაში“ გამომჟღავნდა პიანისტებისათვის დამახასიათებელი შესრულების რელიეფურობა და ინდივიდუალური სტილი. შუმანის „ანდანტე ვარიაციებით“ გამოირჩეოდა მიმზიდველი და ვირტუოზული შესრულებით. რახმანინოვის



სუიტაში №2 - პიანისტებმა კარგად გაართვეს თავი ტექნიკურ სირთულეს და მისი უზადო ინტერპრეტაცია მოგვცეს. მეტად ორიგინალურად, ჭეშმარიტად ცეცხლოვნად, მსუბუქად შესრულეს ს. ნასიძის „სამი ხალხური ცეკვა“. იგრძნობოდა შესრულების ლალი მანერა, თხზულების არსის ღრმა წვდომა და გაბედული, ორიგინალური ინტერპრეტაცია. ალექსი მაჭავარიანის მუსიკალური ფრაგმენტი სპექტაკლისათვის „ბალლინჯო“ ხალასმა, ლალმა და ცოცხალმა შესრულებამ უფრო მეტად გამოკვეთა პიანისტი ქალების უზადლო ხელოვნება“.

**ელადიმერ ზარიძე**  
**გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1981 წ. 20/XI**

„დუეტის საშემსრულებლო მანერა ხასიათდება ტემპერამენტით, არტისტიზმით, რეპერტუარის სიმდიდრით. მუსიკოსები ენევიან საგანმანათლებლო მოღვაწეობას, ატარებენ ლექცია-კონცერტებს, მართავენ გასტროლებს“.

**თამარ ნაგორსკაია**  
**ჟურნ. „Советская музыка“ 1986. №10**

„მდიდარმა რეპერტუარმა და მალალმა პროფესიონალიზმმა მედია ფანიაშვილისა და მედია ალთუნაშვილის დუეტს სახელი გაუთქვა მთელ საბჭოთა კავშირში. მართლაც რომ დღესასწაულს ჰგავდა დუეტის კონცერტები. დარბაზში ტევა არ იყო. ხშირად იძულებული ხდებოდნენ დარბაზის კარებებიც გაეღოთ“.

**ოთარ ჩუბინიშვილი**

1982 ქ. პოლონეთში გამართული ქართული კულტურის დღეების შესახებ პრესა წერდა:

„მრავალრიცხოვან მსმენელს საოცარი სიამოვნება მიანიჭა მედია ფანიაშვილისა და მედია ალთუნაშვილის კონცერტებმა. ქართველი პიანისტების შთაგონებულმა საშემსრულებლო მანერამ დაიპყრო მსმენელი“.

**გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“. 1982 წ. 13/1**

„თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის ფოლკლორის ტაძარში გამართული კონცერტი ჟანრობრივად მრავალფეროვანი



იყო. ჯონ დანსტაბლის ხუთმა პიესამ კლავესინისათვის, რომელიც საოცრად გულშიჩამწვდომი, ფაქიზი მელოდურობით გამოირჩევა, მედეა ფანიაშვილის შესრულების სტილის საოცარი შეგრძნებით ხასიათდებოდა. მარჩელოს სონატაში ფლეიტისა და კლავესინისათვის (მ. ფანიაშვილისა და ნ. კიკნაძის შესრულებით), ასევე ჰენდელის სონატაში ჩელოსა და კლავესინისათვის (მ. ფანიაშვილისა და თ. გომელაურის შესრულებით) აშკარად იგრძნობოდა კლავესინისტი ვირტუოზული საშემსრულებლო მანერა, შენარჩუნებული იყო ემოციური და ტემბრული კოლორიტი. ტელემანის ფანტაზია კლავესინისათვის სოლმინორი, ვარიაციებზე აგებულ სამნაწილიან ნაწარმოებებში მედეა ფანიაშვილმა თხზულებების ინტერპრეტაციისას კვლავ გამოავლინა შესრულების რთული დინამიური ხაზი, რომელიც მონაცვლეობდა ნელ პასაჟებთან".

**ვლადიმერ ზარიძე**

„დუეტი მართლაც ძალიან გაიზარდა. ჩვენ ვამზადდებით ერთად მენდელსონის ფუნდამენტურ კონცერტს ორი როიალისათვის, რომელიც პირველად შესრულდება საბჭოთა კავშირში. პარტიტურა დუეტს აღიარების ნიშნად აჩუქა ქართული კულტურის თაყვანისმცემელმა, გერმანელმა რეჟისორმა ჰერმან ვედეკინდმა“.

**ოდისეი დიმიტრიადი, 1985 წ.**

„საქართველოს საფორტეპიანო დუეტმა ფაქტიურად შეასრულა მთელი საანსამბლო ლიტერატურა, აღმოაჩინა და მსმენელისათვის მისაწვდომი გახადა მრავალი მივიწყებული და უცნობი ნიმუში. სპეციალურად დუეტისთვის შეიქმნა ქართველ კომპოზიტორთა ახალი ნაწარმოებები“.

„დუეტი მრავალი წლის მანძილზე საინტერესო რეპერტუარს სთავაზობდა მსმენელს. ქართული მუსიკის ნიმუშებთან ერთად უმაღლეს დონეზე წარმოაჩენდა ევროპელი, რუსი და ამერიკელი ოსტატების ნაწარმოებებს“.

**გოგი ნიუარაძე**

„ქართული კლასიკური და თანამედროვე მუსიკის პროპაგანდასა და ეროვნული საფორტეპიანო მუსიკის აღმასვლაში

საგრძნობი წვლილი მიუძღვის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტების მედია ფანიაშვილისა და მედია ალთუნაშვილის საფორტეპიანო დუეტს. მათ მიერ კონსერვატორიაში გამართულ კონცერტს, რომლის პროგრამა ფართო და მრავალმხრივი იყო, გულთბილი ტაშით მიესალმა დარბაზი.

სალამომ ერთხელ კიდევ დაარწმუნა მსმენელი შემსრულებელთა ნიჭიერებაში და უდიდესი შემოქმედებითი შრომის უნარში“.

*კირა კვიციანი*

**გაზ. „თბილისი“, 1986 წ. 24/V**

„მრავალდღიანი საანგარიშო კონცერტები, რომლებშიც სტუდენტებთან და ასპირანტებთან ერთად მონაწილეობდნენ კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებლები, დაასრულა მედია ფანიაშვილისა და მედია ალთუნაშვილის დუეტმა. მათ მიერ შესრულებულმა ოთარ თაქთაქიშვილი სუიტამ განუსაზღვრელი სიამოვნება მოუტანა მსმენელს“.

*დალი ჩხეიძე*

**გაზ. „Заря Востока“ 1986 წ. 24/V**

„საფორტეპიანო დუეტმა (მედია ფანიაშვილი და მედია ალთუნაშვილი) სიმფონიური ორკესტრის ჯგუფთან (სიმებიანი კვინტეტი, ფლეიტა, კლარნეტი, ქსილოფონი) შეასრულა სენ-სანსის „ცხოველების კარნავალი“. მცირე სახასიათო მუსიკალური პორტრეტების მონაცვლეობა შემსრულებლისგან მოითხოვს სილალეს, ბგერწერით დახასიათებათა სიმახვილეს, ტექნიკური აპარატის სრულყოფილ ფლობას. ამ მხრივ დუეტი შესანიშნავი იყო. ისინი მცირე ნიუანსებშიც კი გრძნობდნენ ერთმანეთს. მათი შესრულება მხატვრული სინქრონულობით გამოირჩეოდა“.

**გაზეთი „თბილისი“. 1986 წ. 27/II**

„მაღალი პროფესიონალიზმის წყალობით, ასევე აქტიური საკონცერტო მოღვაწეობით, რეპერტუარის საინტერესო შერჩევით და მუდმივი განახლებით დუეტმა შეძლო შეექმნა თავისი ინდივიდუალური სახე. ანსამბლი მისაწვდომია ფართო მსმენელთა აუდიტორიისათვის.“

ამჟამად პიანისტები, მედეა ფანიაშვილი და მედეა ალ-  
თუნაშვილი, საინტერესო კონცერტებით წარსდგა მათუშვილი  
მსმენელის წინაშე.

დიდი წარმატებით იქნა შესრულებული შუბერტის ფანტა-  
ზია, რახმანინოვის სუიტა №1, მიიოს „სკარამუშ“, მოცარტის  
სონატა რე მაჯორი, საფორტეპიანო ტრანსკრიპციები ოპერები-  
დან „რიგოლეტო“ – ვერდი-ლისტი, „ქეთო და კოტე“ – დოლიძე-  
გორელაშვილი. ნოვატორობად შეიძლება ჩაითვალოს კონცერ-  
ტის პროგრამაში დ. ბრუბეკის „ნაბიჯი ჯაზისაკენ“ შეტანა.

სენ-სანსის სოუიტა „ცხოველების კარნავალი“ გამოირჩეო-  
და მაღალი პროფესიონალიზმით, თითოეულ მხატვრულ სახეზე  
ზუსტად მორგებული ნიუანსით.

აპლოდისმენტებით შეხვდა მსმენელი XX ს. ფრანგი კომ-  
პოზიტორის პულენკის კონცერტს ორი ფორტეპიანოსათვის  
ორკესტრთან ერთად.

ბისზე მედეა ფანიაშვილისა და მედეა ალთუნაშვილის მიერ  
შესრულებული იქნა მიიოს, ბრუბეკისა და ჯოპლინის პიესები.

დუეტის ამჟამინდელი ჩამოსვლა ბათუმში მეტად დატვირ-  
თული გამოდგა. ანსამბლი წარსდგა მუსიკალური სკოლებისა  
და სასწავლებლების მოსწავლეთა წინაშეც, მედეა ფანიაშვილის  
მეტად შთამბეჭდავი ლექციების თანხლებით.

გ. ჩაჩუა

„Советская Аджара“, 1987 წ.

მედეა ფანიაშვილისა და მედეა ალთუნაშვილის დუეტმა  
და მათმა სტუმრებმა ლუქსემბურგიდან მოაჯადოვა მსმენელი  
პროფესიული მუსიკირებით.

### ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმი

„თბილისის კონსერვატორიაში გამართული კონცერტი, რო-  
მელშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის დამსახურებული არ-  
ტისტები, მედეა ფანიაშვილი და მედეა ალთუნაშვილი, მუსიკის  
ჭეშმარიტ დღესასწაულად იქცა. სრულყოფილება, დახვეწილო-  
ბა და მთლიანობა იგრძნობა, როდესაც უსმენ მათ.

მედეა ფანიაშვილის ტემპერამენტს ცეცხლოვანებას ავსებს  
და ხშირად ოსტატურად უპირისპირდება მედეა ალთუნაშვილის



სიდინჯე, სიღრმისეულობა. ანსამბლი მსმენელს ჯადოსნურ სამყაროში მიუძღვება.

ამჯერად დუეტმა მსმენელს შესთავაზა გლუკი-რეინეკეს „გავოტი იმპროვიზაციებით“. დახვეწილი ტექნიკითა და სავსე ბგერით აჟღერებულმა XVII-XVIII საუკუნეების ამ ლამაზმა ცეკვამ მოხიბლა მსმენელი.

სალამოზე აჟღერდა ბახის დიდებული კონცერტი დო მინორი ორი კლავირისათვის, სადაც დუეტს ღირსეულ პარტნიორობას უწევდა საქართველოს სიმებიანი კვარტეტი.

კონცერტზე შესრულდა ტელემანის „პასტორალური უვერტიურა“ კლავესინისა და კვარტეტისათვის. დახვეწილი ტექნიკითა და ლამაზი ბგერით ააჟღერა მედეა ფანიაშვილმა კლავესინი. აქვე უნდა აღინიშნოს ის სასიხარულო ფაქტი, რომ მედეა ფანიაშვილი პირველი ქართველი პიანისტია, რომელმაც ფართო შემოქმედებითი და საკონცერტო ასპარეზი გაუხსნა საკლავესინო მუსიკას.

დახვეწილი, ფაქიზი, პასტორალური ბგერები შეცვალა ცეცხლოვანმა მუსიკამ – აჟღერდა ჰაიდნის საფორტეპიანო ტრიო სოლ მაჟორი მედეა ალთუნაშვილის, თამაზ ბათიაშვილისა და ოთარ ჩუბინიშვილის შესრულებით.

კონცერტზე დუეტმა მსმენელებს შესთავაზა საკუთარი ტრანსკრიპციით მენდელსონის „გაზაფხულის სიმღერა“. მაღალი ოსტატობით შესრულდა მაჭავარიანის „ძველებური ცეკვა“, რომელშიც მუსიკოსებმა დახვეწილად, ემოციურად გადმოსცეს ქართული მუსიკალური თემები.

და ბოლოს აჟღერდა შტრაუსის ფეიერვერკული მუსიკა – „რადეცკის მარში“ და უვერტიურა ოპერეტისათვის „ლამურა“ – მედეა ფანიაშვილისა და მედეა ალთუნაშვილის ტრანსკრიპციით. ბოლო აკორდები ოვაციათ დაფარა. მაყურებელი დიდხანს არ უშვებდა მუსიკოსებს სცენიდან“.

*ნინო ქიქოძე*

*„მუსიკის დღესასწაული“.*

**გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1988 წ. 11 მარტი**

„კონსერვატორიის მცირე დარბაზში გამართულ კონცერტზე მსურველთა რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ კონცერ-





ტის მესვეურნი იძულებულები გახდნენ დარბაზის კარებზეც გაეღოთ, რათა გარეთ, ფოიეში დარჩენილებს მოსმენის შესაძლებლობა ჰქონოდათ. კონცერტში მონაწილეობდნენ საქართველოს სახელმწიფო საფორტეპიანო დუეტი - რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები: მედეა ფანიაშვილი და მედეა ალთუნაშვილი, საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი - რესპუბლიკის სახალხო არტისტები: ნ. ჟვანია, ო. ჩუბინიშვილი, თ. ბათიაშვილი, კ. ვარდელი, ფლეიტისტი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნ. კიკნაძე, კონტრაბასისტი ზ. შამუგია და გ. არუთინიანი (დასარტყამი ინსტრუმენტი). მსმენელი დიდხანს აჯილდოებდა ტაშით კონცერტის მონაწილეებს".

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1988 წ. 12/IV

### ჯაზური მუსიკის საღამო

„დაუვინყარი შთაბეჭდილება დატოვა ბრიანსკელ მსმენელზე ქართველი პიანისტების, საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტების მედეა ფანიაშვილისა და მედეა ალთუნაშვილის გამოსვლამ ამერიკული ჯაზის კონცერტზე.

დუეტის გამორჩეული თვისებაა აუდიტორიის ყურადღების მიპყრობის უნარი, ხალასი იუმორი, მომაჯადოებელი ნავარდი კლავიატურაზე, ამავე დროს ზომიერების საოცარი შეგრძნება, მაღალი პროფესიონალიზმი, რაც განაპირობა გამორჩეული საბჭოთა პედაგოგის, რუდოლფ კერერის კლასში აღზრდამ. შემდგომში ეს თვისებები განმტკიცდა და განვითარდა მდიდარი გამოცდილებითა და მრავალრიცხოვანი გასტროლებით. შემსრულებლებმა შეიყვანეს მსმენელი ამერიკული ჯაზის გასაოცარ სამყაროში - ჯოპლინის რეგტიმებიდან და ჯელი როლა მორტონიდან ამერიკული ჯაზის კორიფემდე - ბილ ევანსსა, ლიზი კოლდესპისა, დეივ ბრუბეკამდე.

ამ საინტერესო პროგრამით წარსდგა ბრიანსკის მსმენელთა წინაშე უნიკალური დუეტი, რომელსაც არა ჰყავს ანალოგი საბჭოთა კავშირში... შეიძლება მსოფლიოშიც...“

გაზ. „Брянская неделя“ 1989 წ.

„კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა კონცერტი დღევით - „ქართველი კომპოზიტორები ბავშვებს“. საფორტეპიანო დუეტმა (მედეა ფანიაშვილი და მედეა ალთუნაშვილი) ბრწყინვალე შესრულებით აღაფრთოვანა მსმენელი“.


**ნადეჟდა დიმიტრიადი**  
**„Заря Востока“ 1989 წ.**

„ბრიტენის ბალადა ორი ფორტეპიანოსათვის ორკესტრთან ერთად შესრულეს სოლისტებმა მედეა ფანიაშვილმა და მედეა ალთუნაშვილმა. მათი შესრულება გამოირჩეოდა ვირტუოზული ბრწყინვალეობით, არტისტიზმით, შარმით“.

**მირა ფიჩხაძე**  
**გაზ. „Заря Востока“, 1989 წ. 13/VI**

„მედეა ფანიაშვილისა და მედეა ალთუნაშვილის შემოქმედებითმა კავშირმა ბევრი სასიამოვნო ნუთი მიანიჭა მსმენელს და აღიარება მოუტანა ანდრია ბალანჩივაძის, ალექსი მაჭავარიანის, სულხან ნასიძის, ფელიქს ლლონტისა და ვაჟა აზარაშვილის სპეციალურად მათთვის შექმნილ დუეტებს, რომელთა პირველ შემსრულებლებად ანსამბლისტები თვითონვე გვევლინებიან.“

ქართული საფორტეპიანო დუეტის შემოქმედებითი ცხოვრება ძალიან აქტიური და სისხლსავსეა. ამას ცხადყოფს მუსიკოსთა მიერ სათუთად დაცული არქივი, რომელიც შეიცავს საკონცერტო პროგრამებისა და აფიშების დასტას, სხვადასხვა ქვეყნის, ეპოქისა და სტილის კომპოზიტორთა სახელებსა და თხზულებებს. ტელემანის, ბახის, ჰენდელის, გლუკის დიდებული ქმნილებები მშვენივრად მეზობლობენ სტრავენსკის, ბრიტენის, ბარტოკის, მესიანის, პულენკის მუსიკასთან. მენდელსონის რომანტიკული თხზულებები ენაცვლებიან ფრანგი იმპრესიონისტების პლიტრას. ყოველივე ეს ემორჩილება ქართველი მუსიკოსების ნებას, მსოფლმეგრძნებას, ტექნიკურ ელვარებას, შეიძლება ითქვას, რომ მათთვის არ არსებობს არანაირი ტექნიკური სირთულე.



ისინი სცენაზე ისევე არ ჰგვანან ერთმანეთს, როგორც ცხოვრებაში. მოუსვენარი, ბობოქარი, ხმაურიანი ფანიაშვილი და დინჯი, სიტყვაძუნწი, დარბაისელი ალთუნაშვილი. ერთის საშემსრულებლო მანერა შემტვევი, იერიშის მიმტანია, მეორესი იერიშის მომგერიებელი, შემრიგებლური. ერთის ბგერა ელვარე და გამოკვეთილი, მეორესი – რბილი, მოლულუნე. ორი განსხვავებული საშემსრულებლო მანერა საოცარი ჰარმონიულობით ერწყმის და ავსებს ერთმანეთს.

სწორი არ იქნებოდა აღგვენიშნა მუსიკოსების მხოლოდ ურთიერთგანმასხვავებელი ნიშნები. მათ საერთოც ბევრი აქვთ. ეს არის პროფესიონალიზმი, მაღალი იდეალებისადმი ერთგულება, დაუზარელნი არიან ისინი ახალგაზრდებთან მუშაობაში. ახალი ნაწარმოების შესწავლაში, კოლეგებთან და მეგობრებთან ურთიერთობაში. ისინი აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევიან კონსერვატორიაში, აწყობენ კლასის კონცერტებს. ასევე აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს ფილარმონიის, თუ კომპოზიტორთა კავშირის ღონისძიებებში, თემატურ კონცერტებში, საიუბილეო საღამოებში, ქართული მუსიკის მიღწევათა დათვალიერებებში.

საყოველთაო მოწონება, აღიარება მოიპოვა კონსერვატორიაში მედეა ალთუნაშვილისა და მედეა ფანიაშვილის მიერ არანჟირებული ნაწარმოებების აუღერებამ, სადაც დუეტთან ერთად მონაწილეობდნენ სახელმწიფო კამერული ორკესტრი, ფლეიტისტი – ნუგზარ კიკნაძე, კონტრაბასისტი თამაზ ყურაშვილი, დასარტყამ საკრავზე დამკვრელი დავით ჯაფარიძე. მედეა ფანიაშვილმა და მედეა ალთუნაშვილმა კიდეც ერთხელ გამოავლინეს დაუცხრომელი ენერჯია, გამომგონებლობა, სიახლის ძიების ჟინი. საზღვარი არა აქვს მედეა ფანიაშვილისა და მედეა ალთუნაშვილის თავდადებასა და ენთუზიაზმს“.

**მზია რამიშვილი**

„Советская музыка“-ში №4, 1991 წ. უკრაინელმა მუსიკის-მცოდნემ იური დოვგალენკომ სწორედ შენიშნა: „ქართული საფორტეპიანო მუსიკა წარმოუდგენელია ორი მედეას გარეშე. ყოველივე ახლის თავდადებული პროპაგანდა, ავტორებისადმი უსაზღვრო გულისხმიერება ჭეშმარიტ მაღლიერებას იმსახურებს“.

**ურნ. „ხელოვნება“, 1991 წ.**



„მედეა ფანიაშვილისა და მედეა ალთუნაშვილის ერთობლივ შემოქმედებით გზაზე ირეკლება უწყვეტი პროფესიული ზრდა, საკუთარი სამემსრულებლო ხელნერის სულ უფრო მკაფიო გამოვლენა.

კონცერტების პროგრამები მუსიკოსების მხატვრული ინტერესების მრავალფეროვნებაზე, მათი სამემსრულებლო შესაძლებლობების დიდ დიაპაზონზე მიგვანიშნებს. ისინი ხშირად სთავაზობენ მსმენელს ჩვენში ნაკლებად ცნობილ ნაწარმოებებსაც.

დუეტი არის ქართული მუსიკის მგზნებარე პროპაგანდისტი, დიდი სტიმულია ქართველი კომპოზიტორებისთვის, საფორტეპიანო დუეტის განვითარებისათვის.

მათ კონცერტებზე ყოველთვის სუფევს დღესასწაულის ატმოსფერო. 24 დეკემბერს ხელოვნების მუშაკთა სახლში დუეტის 20 წლისთავისადმი მიძღვნილმა კონცერტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა დუეტის პროფესიული ოსტატობა, ახალგაზრდული შემართება, მომხიბლავი უშუალობა, გულლიაობა და ის შემოქმედებითი სიხარული, რომელსაც ასე უხვად უნანილებენ მსმენელს“.


**ნანა ლორია**  
**„ქართული კულტურა“, 1992 წ. 31/XII**

„მედიკოს არასოდეს უფიქრია კარიერაზე, თუმცა ჰქონდა შემოთავაზება, როგორც კონსერვატორიის რექტორობაზე, ასევე კულტურის მინისტრობაზეც (იგულისხმება 1990-91 წწ. რედ.). თავის ძირითად მოვალეობად მას ყოველთვის მიაჩნდა ეკეთებინა საქმე, რომელიც მის სამშობლოსა და ხალხს წაადგებოდა“.

**ნუგზარ კიკნაძე**

„მე-20-ე საუკუნის სამოცდაათიან წლებიდან მოყოლებული მედეა ფანიაშვილისა და მედეა ალთუნაშვილის სახელმწიფო დუეტი თავისი შთამბეჭდავი და მაღალპროფესიული კონცერტებით 22 წლის მანძილზე ხიბლავდა მსმენელს.

ორივე მედეა ვირტუოზულად ფლობდა დაკვრის ხელოვნებას, განწყობის გადმოცემაში ხომ ბადალი არ ჰყავდებოდათ. ამ შემთხვევაში პირველი და მეორე როიალი, რასაკვირველია, პირობითი იყო, რადგან ორივე პიანისტი როიალს სრულყოფილებით ფლობდა.



დღეს ქალბატონი მედეა ალთუნაშვილი კონსერვატორიის კათედრის პროფესორი, შესანიშნავი მუსიკოსი და პედაგოგი იგი ხშირად მართავს კლასის კონცერტებს. მისი პიროვნული ღირსებების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ისე, კარგი იქნებოდა, გამგრძელებლები – დუეტის ოსტატები ალეზარდა, მაგრამ ასეთი დუეტი აღარ განმეორდება და იგიც მოეშვა ამ საქმეს. ეს კი მისი ღირსეული პარტნიორისადმი დიდი პატივისა და ხსოვნის აღმნიშვნელია“.

ნანა გრიგოლია

„მედეა ფანიაშვილისა და მედეა ალთუნაშვილის საფორტეპიანო დუეტმა ჩანერა ჭეშმარიტად შესანიშნავი ფურცელი ქართული საშემსრულებლო ხელოვნების ისტორიაში“.

თენგიზ ჭუმბურიძე





მედეა ფანიაშვილი - ქართული მუსიკის დედოფალი

2014 წლის 23 მაისს ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ისტორიის მუზეუმში გაიმართა ვაშურული მუსიკის საღამო, რომელიც მოეძღვნა მე-20 საუკუნის განუზღვრებელი ქართველი მუსიკოსის, ბრწყინვალე პიანისტის, პედაგოგის, პროფესორის, საზოგადო მოღვაწისა და დიდი ქართველი მამულიშვილის მედეა ფანიაშვილის ხსენებას. საღამოზე მუხრულადა ზეთაძეების, ბრანის, რახმანინოვის, შამკოვსკის, თავთაძეშვილისა და სხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

მედეა ფანიაშვილი იყო უადრესად გაბედული, თვითმყოფადი, ენერჯეტიკული, სამართლიანი, ლალი, ცეცხლოვანი ტემპერამენტით აღსავსე ხელოვანი.

მედეა ფანიაშვილი მზეს ჰგავდა, თავისუფალი საქართველოს ცის კაზადონზე ამობრწყინებულ მტრუნვარე მზეს, რომელიც უხედად აფრქვევდა სხივებს თავის უსაცდარლეს სამშობლოს დიხს, ქალბატონ მედეას თავდავიწყებით უფვარდა უფვალი, საქართველო და მუსიკა. ამ სიყვარულისთვის მას თვით სიცოცხლის დათმობაც შეეძლო... აჳი, დათმო კიდევ!..

90-იან წლებში საქართველოს ხელოვნების აკადემიაში, რომლის რექტორი ბრძანდებოდა ქალბატონი მედეა, მზადდებოდა კონცერტი, სადაც ქალბატონ მედეას საქართველოს პრეზიდენტთან, ბატონ ზვიად გამსახურდიასთან ერთად, ოთხ ხელში უნდა დაეკრა, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში დატრიალებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა საქართველოს პრეზიდენტაც შეიწირა და მედეა ფანიაშვილის მიერ დიდი რუდუნებით შექმნილ ხელოვნების, აკადემიასაც დარია თავისი მსახვრალი ხელი. ქალბატონი მედეა, თავისი 1400 სტუდენტითა და პედაგოგებით, გაბეჭდულ იქნა "ხელოვნების მუწაკეთა სახლიდან", რომელშიც ფუნქციონირებდა ხელოვნების აკადემია.

ეს უცე მტრისმტეი იყო! ასეთ დარტყმებს თვით რეინაც ვერ გაუძლებდა... "ზეტაც, ჩემი ხელების ეინმქათვის გადანერგვა შეიძლებოდას" - სასიკვდილო სარვეელზე ინატრა მუსიკოსმა, რომელიც ბალიშქვეშ ინახავდა საქართველოს პრეზიდენტის მიერ გროზნოდან გამოგზავნილ ბარათს.

მედეა ფანიაშვილი გარდაიცვალა 1994 წლის 15 აპრილს 48 წლის ასაკში.

მედეა ფანიაშვილი ანგელოზებმა წაიღეს მალა, ზეცაში, შემოქმედთან, რომელმაც უხედად დააბრტყა ტალასტი, მშვენიერი სხეული, ნატეფი გემოვნება, კოსმოფირი ქართული მუსიკისა და ლიონიმზობლის წაღზეყვარი ქვეყნის გაქუთისხელი სიყვარული.

ამს მშვენიერ საღამოზე საშუალება მომეცა წამყვითა დიდი მუსიკოსისადმი მიძღვენილი ლექსი "მედეა ფანიაშვილი - "Allegro con fuoco".

თინათინ მღვდელიაშვილი